985ჟრ.




№ 24 ფასი 15 მანეთი

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

# „თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 500 მან., ნახევარი წლით 300 მან. თითო ნომერი—15 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის № 20 ქართ. ბეჭდვითი ამხ. სტამბაში, რუსთ. № 26 ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. კვირა, მკათათვის 4 გამოცემა 1920 წ.



**ბალო მაყაშვილი**

ახალციხის გმირი, სახელოვანი სარდალი და მტკიცე მამულიშვილი, კომუნისტ-ბოლშევიკების მიერ ბაქოში დახვრეტილი ივნ. 14 (იხ. ამავე ნომერში 6 გვ. წერილი „ჭეშმარიტი გენერალი").



**ვლ. ანტ. გონსორსკი**

სამხედრო მუსიკის ღრმა მცოდნე სახალხო გვარდიის სამუსიკო ინსტრუქტორის თანამშრომელი. 27 ივნ. ჰისი მარში მოიწონეს.



**კომ. კ. ფოცხვერაშვილი**

სახ. სამუსიკო გვარდ. მთავარი ინსტრუქტორი, გასულ კვირას სახელმწიფო თეატრში მარშთა შეჯიბრების მომწყობი.



**ვ. ფ. მიზანდარი**

დივიზიონის ორკესტრის კაპელმეისტერი, ნიჭიერი ლოტბარი და სამხედრო მუსიკის უაღრესი მცოდნე

985ჟრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადღეისო

**ჭრილობა გვიმთელდება!**

ყოველი ქართველის გულითადი ნატვრა განხორციელდა: ბათომი და მისი ოლქი დედა საქართველოს შემოუერთდა. „როგორც უფალი სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!“ და, აი, შავ დროთაგან გათიშულმა ძმებმა, ერთი ქვეყნის დაშორებულმა შვილებმა, ის შევიგნეთ და კვლავ გულში ჩავიხუტეთ ჩვენს დედა-სამშობლო, ჩვენი უფალს

სალამი და გამარჯვება ჩვენს ძმა ქართველ-მუსლიმანებს, რომელთ თავზედაც მრავალმა ცეცხლმა გადიქროლა და მაინც დაკარგულ კერას მიაგნეს!

სალამი და გამარჯვება ჩვენს მთავრობასა და მხედრობას, რომელთა გამუდმებულმა, გაბეჯითებულმა მუშაობამ დაკარგული ძმები და ქვეყნის საუკეთესო თვალი შემოგვიერთა!

ამიერიდან კიდევ უფრო ბეჯითი მუშაობა გვმართებს ბათუმსა და მის ოლქში კულტურულ-სახელოვნო ასპარეზზე, რათა სარწმუნოებით დაშორებულმა ძმებმა, ურთი-ერთი ეროვნულად შევიცნობოთ და შევიტკბოთ, რომ ჩვენი ერთმანეთისგან გათიშვა ვერავითარმა ძალამ ვეღარ შესძლოს.

**დასი ბათომისკენ!**

...და ჩვენი ერის გაერთიანება, საქართველოს ყველა შვილის გაერთსულოვნება მაშინ მოხდება როცა ჩვენი ხელოვნება ამეტყველდება,—სახიობა და მუსიკა ამუშავდება.

ჩვენმა დრამატიულმა და სამუსიკო საზოგადოებებმა ახლავე უნდა შეადგინონ საგანგებო დასი ბათომისათვის ადგილობრივ ძალთა დახმარებით. ბათომში უნდა ამუშავდეს ძლიერი დრამატიული დასი. იქვე მოეწყოს ჩვენი ოპერა და შემდეგ ოლქის თვალსაჩინო ადგილებში ამუშავდეს დრამატიული წრეები შესაფერი რეპერტუარით.

ჩვენი სრული გამარჯვება ხელოვნებამ უნდა დააგვირგვინოს: ხელოვნების ფრთის ქვეშ სარწმუნოების მიუხედავად ყველა შემოეფარება და სულს დაიმშვიდებს!..

**პროვინცია გვიხმობს!**

...მაგრამ არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს დაბა-სოფლებს--პროვინციას. აქ, ყველა შოზრდილ ქალაქ-დაბაში მოიპოება გამოცდილ სცენის მოყვარეთა წრეები, ყველას კი შესაფერი ხელმძღვანელები არა ჰყავთ.

ასეთია ფოთი, ჭიათურა, ხონი, თელავი, სიღნაღი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ონი, სენაკი და სხ.

ყველა ასეთ ადგილებში უნდა მოეწყოს მუდმივი დრამატიული დასები, თუ შესაძლოა ეროვნული გუნდებით, რომელთაც დედა-ქალაქმა გამოცდილი რეჟისორები უნდა მიაწოდოს.

ჩვენი თეატრის სვებედის გამგებელთ ვჯობთ პირად პატივმოყვარეობაზე ხელი აიღონ, შრომის მოყვარეობა შეითვისონ და, როგორც სამშობლოს ჯარის-კაცნი, იქით გაემგზავრონ, სადაც უფრო საჭიროებს მათ ჩვენი სამშობლო!

დიდებულ ხანაში ვცხოვრობთ და ვაი მას, ვინც თავის მოვალეობას პირნათლად არ მოიხდის.

**ყრილობისთვის**

ჩვენს ვალს საერთო მოვალეობის წინაშე მაშინ მოვიხდით, როდესაც ერთის გეგმით ავმუშავდებით.

ეს ერთი ხანია ჩვენმა ჟურნალმა დაიწყო მზადება სრულიად საქართველოს სცენის მოყვარეთა საზოგადოებათა ყრილობის (კონგრესის) მოსაწვევად. დაიბეჭდა რამდენიმე წერილიც. როცა მთელი საქართველოს სცენის მოყვარე-მოღვაწენი შეიკრიბებიან, საერთო საჭიროებაზე მოილაპარაკებენ და ერთს ცენტრს შექმნიან, მუშაობაც უფრო გახურდება. ზოგიერთ ამხანაგთ-კი, როგორც შევიტყეთ, განუზრახავთ თბილისის სცენის მოყვარეთა კავშირის შედგენა. ეს ურიგო საქმე არ არის, მაგრამ უმჯობესია საქმის თაოსნებმა მოქმედების ფარგალი გააფართოვონ. თუ დღეს კრება შესდგება, საორგანიზაციო კომისია ამოირჩიონ და სრულიად საქართველოს სცენის მოყვარეთა საზოგადოების წარმომადგენლების კონგრესის მოწვევას შეუწყონ ხელი.

მომავალ ნომერში დავბეჭდავთ ამ კონგრესის ცენტრის წესდების საზოგადო დებულებათა საფუძვლებს.

# სიმღერა

ქართლ-კახეთს ვაქებ იმიტომ ისევ ძველი სძევს ფერია;
თავზე ქუდს, წელზე ფრანგულსა ღირსად ატარებს ერია.
ირაკლის შვილი-შვილებმა ყველგან დალეწეს მტერია;
თუში, ფშაველი, იმერი—მათში სულ ყველა ერია;
იძახდენ ახალ-უხლები: თოფს წამაავლეთ ხელია.
დედა გვიმზადებს საგძალსა, ომში ხართ წასასვლელია;
მისთვის დავზარდეთ გმირები, არ გაალაღოთ მტერია;
ვინც ემალება სამსახურს, ის ომში არაფერია;
დედა შეერთოს ცოლათა ვინც დღეს უარის მთქმელია;
დიაცის კაბა ჩაიცვას, ომში რა წასასვლელია'..

**ვასო აფციაური**

# მსახიობი საბჭოთა რუსეთში

(ინტერვიუ **ვლ. ალ.-მესხიშვილთან** „თეატრი და ცხოვრებასთვის“).

13 ივნისს, როგორც წარსული კვირის ნომერში ვწერდით, რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდა მხცოვანი მსახიობი ლადო მესხიშვილი, რომელმაც ჩვენს კითხვებზე შემდეგი პასუხი მოგვცა, საბჭოთა რუსეთში მსახიობის მდგომარეობის შესახებ.

— როგორი იყო თქვენი მდგომარეობა რუსეთში ბოლშევიკების ბატონობის დროს და განსაკუთრებით რომელ თეატრში მუშაობდით?

— უნდა განვაცხადო, სთქვა მესხიშვილმა, რომ მსახიობთა მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში პირველ ხანებში არ იყო ისე მძიმე და მწვავე, როგორც ამ ჟამად. ჩვენ შეგვიძლიან აღვნიშნოთ ორი პერიოდი ბოლშევიკების მოღვაწეობაში. რასაკვირველია მხედველობაში მაქვს თეატრალური დარგი; პირველ პერიოდში მათი მოღვაწეობისა კერძო ინიციატივა, კერძო ანტრეპრიზა არ იყო გაუქმებული და როგორც წინედ არსებობდა თეატრები კორშის, ზიმინის და სხვათა. მაგრამ შემდეგ პე-

რიოდში ეს კერძო ინიციატივა საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გააუქმა და მაშინ დაარსდა მოსკოვში „სრულიად რუსეთის მსახიობთა კავშირი“, რომლის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ მე ვიყავი. კერძო ინიციატივის გაუქმების შემდეგ, რასაკვირველია, ჯამაგირების საქმეც ცუდათ მოეწყო და დაწესებული იქნა ჯამაგირის მაქსიმუმად პირველი ხარისხის მსახიობთათვის 7,200 მ. მხოლოდ მსახიობი ქალი ერმოლოვას სცეს განსაკუთრებული პატივი და როგორც წყალობა დაუნიშნეს 15 ათასი მანეთი თვიურად. ასეთი ჯამაგირით მსახიობი ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი, რამაც გამოიწვია მათ შორის კანონიერი აღშფოთება და ჩვენ წარუდგინეთ მთავრობას მოთხოვნა, რომ შეუძლებელია მსახიობი ჩაუცმელად გამოვიდეს სცენაზე, მას სჭირია ტანისამოსი და მთავრობის მიერ დანიშნული „სტავკა“ მათ საჭმელადაც არ ჰყოფნით. მსახიობის ასეთ მისაღებ მოთხოვნას, მართლადაც, მათ ანგარიში გაუწიეს და დადებითი პასუხიც მისცეს. იმავე დროს საშინლად გამრავლდენ კლუბები და მინიატიურები, ყოველ ნაწილს, გვარდიელები იყვნენ თუ მუშები, ჰქონდა თავისი კლუბი. სადაც მუშაობაზე იძულებულნი იყვნენ ცნობილი მსახიობებიც, რადგანაც იქ უფრო მისაღები პირობები იყო: ჯამაგირთან ერთად აძლევდენ ეგრედ წოდებულს „паекъ“-ს. მსახიობნი იძულებული იყვნენ ერთ ღამეში სამსა და ოთხ ადგილას მიეღოთ მონაწილეობა და ასეთი ტანჯული გროშით ერჩინათ თავი, მაგრამ ბოლოს მთავრობამ ისიც აღუკრძალა მათ. რაც შეეხება მე, რევოლუციის და შფოთის ხანაში სცენაზე არ გამოვდიოდი, მხოლოდ ვმუშაობდი კი ეკრანისთვის, სადაც ჩემთვის მეტად მისაღები პირობები იყო. ვმუშაობდი „ბიოფილმთან“, მქონდა წლიური საგრძნობი ჯამაგირი, სრულს პანსიონზე და თავსაც კარგად ვგრძნობდი. მაგრამ მოხდა კინოს ნაციონალიზაცია და ჩემთვის დაიწყო ცუდი პირობები. რასაკვირველია 7,200 მანეთზე მუშაობა შეუძლებელი იყო და წავედი ჩემი ცოლის მამულში სოფელ რაზდუმოვო-რიბინსკის გუბერნიაში. აქ მე სავსებით უზრუნველყოფილი ვიყავი, ვცხოვრობდი სრულს კმაყოფილებაში, რადგანაც ჩემი ცოლის ახალგაზდური ენერგიით სავსე ძმები, თავისი პირადი მუშაობით ქმნიდენ საყურადღებო. უზრუნველ მდგომარეობას ოჯახისთვის. რძე, კარაქი, პური, ყოველივე საკმაოდ გვქონდა და გაჭირვებას არ ვგრძნობდი. მაგრამ ასეთი ცხოვრების წარმოება, მცირე ხნის შემდეგ, ჩემთვის მეტად ძნელი გახდა, ვერ შევეგუე ერთფეროვან, უნერვო, უსიცოცხლო ყოფას და დაიწყო ჩემში საგრძნობი ძალით სევდიანმა ფიქრმა მუშაობა. უმუშევრობა, და განსაკუთრებით კი ინტიმური წვა სულისა სამშობლო საკენ გამგზავრების გაგიჟებული სურვილით, ყოველივე ეს ქმნიდა ჩემში უმაგალითო ტანჯვას, სულიერ წამებას, — (აქ საყვარელ მსახიობის თვალებს ცრემლები მოერია და დიდი ხანი ვერ განაგრძო საუბარი), — ჰო, ვერ ავიტანე ეს განდევილური, განყენებული ცხოვრება და ისევ მოსკოვისკენ გავსწიე ოჯახით. იმავე დროს ქ. ტულიდან მოსკოვს ჩამოვიდა ცნობილი ვექილი, რომელსაც დავალება ჰქონდა მოსკოვიდან ტულაში მოეწვია ადგილობრივი თეატრალური ცხოვრების ხელმძღვანელი — მსახიობირეჟისორი, რომელიც იმავე დროს იქნებოდა ორგანიზატორი იქ არსებული ახალგაზდათა დრამატიულის სტუდიის. ის ვექილი მოვიდა ბიუროში, სადაც მას ჩემზე მიუთითეს, როგორც გამოცდილსა და ცნობილ მსახიობზე. ჩემთვის მიუღებელი იყო არსებული პირობა მსახიობთა მუშაობის დასაჯილდოებლად ე. ი. 7,200 მანეთი და ისიც არა, რადგანაც ტულა პროვინციალური ქალაქი იყო და მას (ვექილს) წარუდგინე საკუთარი პირობა, რომელზედაც მან თანხმობა მომცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტულაში შეეკითხა ვისაც საჭირო იყო. მიმიწვიეს მე და ჩემი მეუღლეც. იმავე დროს ქ. ტულას უახლოვდებოდა დენიკინის ჯარი და იყო აზრი, რომ უეჭველად აიღებდა. მე ამ მდგომარეობასაც ვუწევდი ანგარიშს, რადგანაც ტულიდან მე შემეძლო კიევში, აქედან ოდესაში, და შემდეგ სამშობლოში გადასვლა. რასაკვირველია ამ მოსაზრებითაც ვხელმძღვანელობდი. ჩვენ წავედით ტულაში და ის იყო შევუდექი საქმეს. სტუდიის პირველი სახე ვერ იყო ჩემთვის სასურველი გამომეტყველების, რადგანაც თვით დანიშნულება მისი ძირითადათ იყო ყალბი. სტუდიიდან უნდოდათ შეექმნათ აგიტატორების, როგორც დეკლამატორები ბოლშევიკური ტენდენციების და იდეოლოგიის. მე შევძელი ამ მდგომარეობის გაბათილება და ჩემი ახალგაზდები გადავიყვანე სწორ და მართალ გზაზე. ძნელი იყო აგრეთვე რეპერტუარის შემუშავება, რადგანაც ამ მომენტშიაც ტენდენციური მოსაზრებით ხელმძღვანელობდენ და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ სააგიტაციო პიესებს, რომლებშიაც იყო შრომის თამამი გამარჯვება კაპიტალზე, მუშის წინ კაპიტალისტების ქედის მოხრა. ბ-ნი იგნატოვი, ტულას პროლეტ-კულტის თავმჯდომარე და სცენის მოყვარე, თვითონა დგამდა ისეთ პიესებს, რომელზედაც მე უარს ვაცხადებდი, თვითონაც იგნატოვი გამოდიოდა სცენაზე. დამახასიათებელი იყო შემდეგი მდგომარეობა: იგნატოვი გამოვიდა „დაძირულ ზარში“ ჰენრიხის როლში და მონოლოგების დროს გამოვიდოდა ავან-სცენაზე, რამპასთან და როგორც მაღალ ტემპერამენტიანი აგიტატორი ჰყვიროდა მონოლოგებს. რასაკვირველია ამით კვდებოდა ჰაუპტმანის გმირის პიროვნების სირთულე. მე თვითონ სცენაზე არ გამოვდიოდი, მხოლოდ ერთხელ საზოგადოებას გამოვეცხადე „გაზაფხულის ნიაღვარში“, ვასრულებდი რეჟისორის მოვალეობას და ჩემს განკარგულებაში იყო ორი თეატრი. ვინაიდან კარგად ვიყავი ჩაცმული, ეს არ მოეწონათ ბოლშევიკური სულისკვეთების ხალხს, ამას დაურთეს კიდევ ის რომ, მე ჩვეულებრივ ჯამაგირზე მეტს ვიღებდი, რაც სახელმწიფო კონტროლიორმა აღმოაჩინა და უკვე დაიწყო ისევ მწარე პირობების შემუშავება. მათ ისიც აფიქრებდა, რომ ჩემისთანა მსახიობი მოსკოვიდან ტულაში ჩამოვიდა და აქ ეჭვების თვალით დამიწყეს მზერა. იმავე დროს დენიკინის მოახლოვებამაც ხელი შეუწყო ჩემს შესახებ ცუდი აზრის შემუშავებას, გაიგეს აგრეთვე, რომ ჩემი შვილი იყო მინისტრად საქართველოში და დამაპატიმრეს, მაგრამ ხსენებული იგნატოვის წყალობით მალე განმათავისუფლეს. სახელმწიფო კონტროლიორი არ ცხრებოდა და პირობად დამიდვეს — ან ჩვეულებრივ ჯამაგირზე მუშაობა, ან თავის დანებება. მე უკანასკნელი ვარჩიე, მაგრამ სტუდიაში მყოფი ახალგაზდობამ არ ისურვა ჩემი წასვლა და თავიანთ სხდომაზე დაადგინეს — მოგვაცილეთ ორი მასწავლებელი, ოღონდ მესხიშვილი დაგვიტოვეთო. აქ ვიგრძენი მე მთელი ჩემი სიდიადე, ჩემი შრომისადმი ასეთი წრფელი პატივისცემის გათვალისწინებით და ვიფიქრე, რომ ჩემს ჰალარას კიდევ შესძლებია ახალგაზდური გრძნობით ანთება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იმ ხანებში მივიღე დეპეშა საქართველოს წარმომადგენელის ხუნდაძისაგან—ჩამოდით, გამოვეთხოვე ცრემლებით ჩემს ახალგაზდებს და წამოვედი სამშობლოში.

— რა მდგომარეობაში არიან კერძო თეატრები?

— ისინი უკვე აღარ არსებობენ. აღარ არსებობს აგრეთვე ყველა მდიდარი ატელიები ცნობილი კინოფილმების.

— სად არიან ნანქონკოვი, ერმოლიევი, ხარიტონოვი, „ბიოფილმის“ ამხანაგობა?

— ისინი გაიქცენ რუსეთიდან, ხოლო „ბიოფილმი“-ს მთელი სიმდიდრე დასწვა.

— როგორ მდგომარეობაშია სამხატვრო თეატრი?

— მეტად ცუდს. არ არის სიხალისე, სიცოცხლე, გატაცება; ამ ხნის განმავლობაში არავითარი სიახლე, ორიგინალობა არ გამოუჩენიათ.

— ესწრება ხალხი?

— ჩვეულებრივად. მაგრამ არ არის მათთვის ჩვეული აუდიტორია. მეტად დააჩნდა თეატრს ისეთი ძალების არ ყოფნა, როგორც კაჩალოვი, კნიპერი, გერმანოვა და მასალიტინოვია...

— როგორი აზრისა ხართ კაჩალოვსა და მოსკვინზე.

— კაჩალოვი კარგი ტეხნიკია, მოსკვინი განსაკუთრებული, არტისტიული ნიჭი.

— არსებობს თუ არა ბალიევის და იუჟნის თეატრები?

— არსებობს, მაგრამ არა წარსული სახით. საერთოდ ერთი დამახასიათებელი მდგომარეობა ის არის, რომ დახურდავდა მსახიობი, დაჰკარგა თავისი ღირებულება.

— სად არის შალიაპინი?

— მოსკოვშია, უზრუნველყოფილია. გამოსვლაში ღებულობს 40,000 მ., აძლევენ ფქვილსაც, სხვა საჭირო მასალებს.

— როგორ არის სუმბათაშვილი-იუჟინი?

— იძულებულია თავისი ხაბაკები, ოქრო და ვერცხლეულობა გაჰყიდოს, რადგანაც ჯამაგირით ცხოვრებაყოვლად შეუძლებელია.

— თქვენი აზრი კინოზე?

-- მე არ ვიზიარებ კინოს მოწინააღმდეგეთა აზრს, თითქოს ეკრანზე არ არის საჭირო განცდა, მიმიკა. ეს ყალბი აზრია და ყველა იმ სიომკებში, სადაც მე გამოვდიოდი, დავამტკიცე აღნიშნული აზრის სრული უსაფუძვლობა. კინოს დიდი მნიშვნელობა აქვს და მეც სწორედ მაქვს მთავარ განზრახვათ დავაარსო ქართული კინო, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა უნდა მიეცეს. მე უნდა გავაცნო ევროპას ქართველი ხალხის წარსული კულტურა. მაგრამ ვგონებ ეს საქმე უკვე დაწყებული უნდა იყოს და არ მინდა ხელი შევუშალო ინიციატორებს. ყოველ შემთხვევაში მე შემუშავებული პროექტით წავრდგები მთავრობის წინაშე.

— როგორი შთაბეჭდილება მიიღეთ ქართულ წარმოდგენებიდან?

— მე ერთი რამ ვიგრძენი: დაღუპულა ჩემი საბშობლო სცენა. ხუთი წლის წინეთ, როდესაც აქედან მივდიოდი, მე სრული რწმენა მქონდა, რომ ჩემს მიერ აღზდილი ახალგაზდები შექმნიდენ ქართულ თეატრს, მაგრამ ვნახე მხოლოდ ის, რომ გაყინულა, გაციებულა სამშობლო სცენის სახე... (აქაც ვერ მოითმინა ლადოს გულმა და მის თვალებს ცრემლები მოაწვა). ინტრიგანობა, ჯიბრი, უპატივცემლობა მსახიობთა შორის—განა ეს მისაღები და დასაშვებია? მე მინდა, რაც უნდა დამიჯდეს, მთავრობას ვსთხოვო, მიიღოს ზომები, რათა მოსკოვიდან სასწრაფოთ იქმნეს გამოწვეული სამხატვრო თეატრის მსახიობი მჭედლიშვილი. მე მას ჩავაბარებ ჩემს სცენას და მწამს, რომ ის შექმნის ქართულ სცენას.

— აპირებთ თუ არა მომავალ სეზონში მუშაობას?

— მე ვფიქრობ, რომ ჩემთვის აწი ძნელი იქნება მუშაობა. მოვხუცდი და დავიღალე. მაგრამ მაინც ზოგიერთ პიესებში გამოვალ, თუ ვნახე ჩემი გარეგნობისთვის და წლოვანებისათვის შესაფერი როლი.

**მ. ღვამიჩავა**

# გიორგი იოსელიანის ხსოვნას

საყვარელო გიორგი, თვალო ჩვენი სცენისა,
შენ ხალხის შვილი იყავ, პატიოსან ერისა;
და მოჰკვდი პატიოსნად ხალხის სამსახურშია
და ამიტომ შენს სახელს იხუტებენ გულშია.

ყველას თვალში ცრემლი აქვს მორეული მდუღარე,
და შენს ცხედრის წინაშე ვსდგევართ, ვით კლდე მდუმარე.
ვფიქრობთ: ნუთუ გიორგი აღარა გვყავს, მკვდარია.
და ვწყევლით წუთისოფელს, ასე რამ გადაღია?!

გვტაცებს ყველას, ვისაცკი ნიჭი აქვს და უნარი,
ვინც ტანჯული ერისთვის გაჰკაფა ეკალ-ნარი,
და შენც ამ ჯგუფს ეკუთვნი, გიორგი საყვარელო,
და ამისთვის დღეს გულში გიხუტებს მისი მდელო.

შენ სიკვდილით შემოსე ძმათ მაშვრალთა კერა,
დაგვეწერა მშრომელ ხალხს კიდევ გლოვის სიმღერა,
სიხვალ მაგრამ შენს სახელს არ დაივიწყებს სცენა,
მანამდე იარსებებს ქართველი და მის ენა!..

**ზ. ზემოხანდაკელი**

# ია კარგარეთელი

თბილისის ერთ გაზეთში წავიკითხე წერილი მუსიკოს ი. კარგარეთლის ნივთიერ ხელმოკლეობის შესახებ. მართლაც რომ ცუდია და აუტანელი მდგომარეობა ამ პატიოსან მუშაკისა, თუ მივიღებთ მხედველობაში მის ავადმყოფობას და ოჯახურ მდგომარეობას. მაგრამ ვინ უწევს ანგარიშს ხელოვნების ქურუმთა დღევანდელ მდგომარეობას, როდესაც თვით მუსიკოს-კომპოზიტორნი თავიანთ ამხანაგების მდგომარეობას არ გებულობენ და ერთმანეთის დაფასება და პატივისცემა მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იციან? კარგათ გვახსოვს ნ. სულხანიშვილის დატანჯული და მშიერ მწყურვალი ცხოვრება და მერე ვინ მიაქცია ყურადღება? არავინ. სამწუხაროა ეს მოვლენა ჩვენში იმდენად, რამდენად ჩვენი მუსიკოს-კომპოზიტორები ასეთ საქციელით ძალიან ცუდ მაგალითს აძლევენ მოზარდ თაობას.

ახლო ხანში 30 წ. შესრულდება, რაც ია კარგარეთელი მშობლიურ ხელოვნებას ემსახურება და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაუკეთებია ამას: დაუწერია

ქართ. ხქიკ. ისტორია, დიდი შრომა და ღვაწლი გაუწევია ქართულ სცენაზე ოპერა „რიგოლეტოს“ დადგმაში, ამ ჟამად მინდობილი აქვს ოპერა „დემონის“ გადათარგმნა, შეუკრებია მრავალი ხალხური სიმღერები, დაუწერია საეკლესიო რომანსები და საეკლესიო საგალობლები, სწერს საგულისხმო წერილებს ხელოვნებაზე.

ია კარგარეთელმა დიდი როლი ითამაშა ქართული ხელოვნების გათვითცნობიერებაში. ამას უფრო ქართული სტუდენტობა გრძნობს, რომელთაც შორეულ რუსეთში გამართულ ქართულ საღამოებზე არა ერთხელ უმღერიათ მისი რომანსები, რასაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია რუსეთის უცხო საზოგადოებაზე. ამ ორი წლის უკან ოდესის კონსერვატორიაში გაიმართა ინტერნაციონალური საღამო, სადაც ილებდენ მონაწილეობას: რუსების, უკრაინელების, ბერძნების, ებრაელების და ქართული სტუდენტთა სათვისტომოები. ჩვენ ქართველებმა დავდგით სურათი XII საუკ. რის შემდეგ ორმა სტუდენტმა იმღერა ის რომანსები, რასაც დაუსრულებლი ტაშის გრიალი მოყვა. ზოგიერთის თხოვნით ის რომანსები გადაღებულ იქნა ნოტებზე.

ია კარგარეთელი — ეს სევდის მწერალია, მისი რომანსების სევდიანი კილო გამომხატველია სამშობლო ქვეყნის მწარე წარსულისა; ბესიკის და ბარათაშვილის დიდ აზროვანი სამშობლო ქვეყანაზე სევდის ამღვძვრელი ლექსები ღრმად სწვდებიან მის გულს, რასაც სიმების კვნესაში ხატავს ნიჭიერი ხელოვანი. ია კარგარეთელის მუსიკაში ხელ ახლად დაბადებული ბესიკისა და ბარათაშვილის სევდიანი ჰანგები ჭეშმარიტად რომ იჟღერებენ სამარადისოდ. დღეს კი ნიშნად მადლობისა მადლიერი ერი მოკლე მომავალში ბრწყინვალედ იდღესასწაულებს ის 30 წლ. შრომას.

ლ. გავაშელი

# ფიქრი საქართველოზე

## VIII

### ჩვენი მუსიკა.

(უძღვნი კოტე ფოცხვერაშვილს).

საქართველო მხატვრული ქვეყანაა თავისი ბუნებით, თავისი მდებარეობით.

ის ერთი მშვენიერი წალკოტია, წალკოტი სინარნარით და სიკეკლუცით აღსავსე.

მისი ბუმბერაზი მთები, მაღლა ცამდის აზიდულნი მრისხანეა, მაგრამ ამასთანავე მომხიბლავი და სანეტარო.

მისი ჩუხჩუხა წყაროები, მისი მდინარე, მისი ზღვა, — ეგ ხომ სილამაზის თვალია.

ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყანა თვით ღვთაებრივი სიმფონია, თვით სირინოზთა სამთავროა.

დამტკიცებულია, რომ ყოველ ერს ამჩნევს თავის ზეგავლენას, თავის ნიშანს ის არე, ის ბუნება, რომელშიაც მას უხდება ყოფნა-ცხოვრება.

ბუნება ლაღია — ხალხიც ლაღია.

ბუნება მხიარულია — ხალხიც მხიარულია.

ბუნება მალხაზია — ხალხიც კოხტა და ლამაზია.

ბუნება მდიდარია — ხალხიც მდიდარია.

საქართველოც ასეთი სამკაულებით არის შემკული, და თუ ჯერ-ჯერობით ვერ გამოვიყენეთ ყველა ჩვენი საუნჯენი და ვერ ავამუშავეთ ამ მხრით სათანადოთ ჩვენი ენერგია, ეს მხოლოდ სხვა და სხვა ობიექტურ პირობათა ბრალი იყო და დღეს კი, როდესაც თვით ჩვენი ერი გახდა თავის ბედის უფალი, ეჭვი არაა მომავალი ამ მხრით ბევრ რასმეს გვიქადის, დიდებულს და ღირს შესანიშნავს.

ქართველი ხალხის ერთი დიდებული საგანძური მისი სიმღერა-გალობა არის.

ცნობილ კომპოზიტორთა აზრით, არც ერთ ერს არა აქვს ისეთი მდიდარი, მშვენიერი და შინაარსიანი სიმღერა-გალობა, როგორც ეს ჩვენ, ქართველებს. ერის კულტურისათვის, მის სულიერ აღორძინებისათვის ამას კი დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს.

თუ კი რომელიმე დარგი ხელოვნებისა მოქმედობს ადამიანზე და მაზე რაიმე ზეგავლენა აქვს, - ეს ყველაზე უფრო სიმღერა-გალობა ანუ მუსიკაა.

ადამიანში იბრძვის ორი ძალა: ერთი კეთილი, მეორე კი ბოროტი. ერთიც კეთილ გზისაკენ სტყორცნის მას, მეორე-კი — ბოროტისაკენ.

ხელოვნების მოვალეობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ როგორმე, რაც შეიძლება უფრო მეტი გააღვიძოს ადამიანში, ეს პირველი ე. ი. კეთილშობლური გრძნობა და ჩაკლას მეორე ე. ი. ბოროტება

ამას კი ჩვენ ყველაზედ უფრო სიმღერა-გალობით ანუ მუსიკით მივაღწევთ ხოლმე.

ის ყველაზედ უფრო „აკაცებს“ კაცს და ამაღლებს

ის ყველაზედ უფრო ხვდება ადამიანის გრძნობაგონებას და ასპეტაკებს მას.

ამის გამო უდიდესი ყურადღება უნდა მივაპყროთ ჩვენს სიმღერა-გალობას და ყოველ მხრით შევისწავლოთ და დავამუშაოთ იგი.

ჩვენმა მთავრობამა და საზოგადოებამ არაფერი არ უნდა დაიშუროს ამ საქმის ყოველ მხრივ მოსაგვარებლად.

ერთი ასეთი ნაბიჯი სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს გადუდგამს, რაც გამოიხატა 27 ივნისს გამართულ კონცერტში სახელმწიფო თეატრში.

მის მშვენიერ ორკესტრის მიერ შესრულებულმა ჰანგებმა, ქალ-ვაჟთა გუნდის ხმა-შეწყობით დიდებული შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე.

ამ რიგად სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი გამოდის არა მარტო შეიარაღებულ ძალის ხელმძღვანელად, არამედ კულტურის სფეროშიაც იჭერს სათანადო ადგილს.

ეს კი იმის მაუწყებელია, რომ თავისუფალ საქართველოში, სულ ადრე და მალე აღორძინდება ხელოვნების ყოველი დარგი და ამასთანავე იგი გამდიდრდება მრავალ გენიალურ ქმნილებით, რომელნიც დღეს ჩვენი ხალხის გულშია ჩამარხული.

გრ. კუნჭულია

***

მზე ჩადიოდა. მიდამოს
ღამის ბინდბუნდი ფარავდა,
ნაზი ნიავი დაჰქროდა,
ია-ვარდს წყურვილს უკლავდა,

ფოთოლი ფოთლს კოცნიდა,
ტოტი ტოტს ეკონებოდა,
ეშხით დამდნარი ბუნება
თითქო ღმერთს დამონებოდა...

გ. დალი

* * *

**(იასე რაჭველის ხსოვნას) *)**

ოდეს სამშობლოამ ფრთები გაშალა,
თავისუფლების დაგვიდგა ხანა...
მონობის ციხე როს დაიშალა
და განახლების გზას დგას ქვეყანა;
როს საქართველოს მშრომელი მასსა
წითელის დროშით მიილტვის წინა,—
ეხლა ვიგონებთ ყველა ჩვენს მკვდარსა,
ვინც ბნელ სამარეს იპოვა ბინა...

ოჰ, რაოდენის მიდლიან კალამს
საქართველოსთვის უთხზავს სიმღერა!
ოჰ, რაოდენი არ ხრიდა ალამს,—
ოღონდ სმენოდა ტრფობის სიმთ ჟღერა!..

და ხარობს მდელო, სამშობლო ჰყვავის...
მაგრამ გულს მოსდის ცრემლისა ღვარი,—
ბედნიერება ვერ იგრძნო თავის
ჩვენმა იასემ,—ვინც დღეს გვყავს მკვდარი.

მან მოიხადა თავისი ვალი...
სამშობლოსათვის იგრძნო წამება...
მას დააფასებს თვით მომავალი...
დიდება მშრომელს... ნეტარ ხსენება!

**დ. მეჩონგურე**

# ჭეშმარიტი გენერალი

**ბალო მაყაშვილი**

ჩრდილოეთის ბარბაროსებმა, ევრედ წოდებულმა კომუნისტ-ბოლშევიკებმა ახალი ველურობა ჩაიდინეს.

ბაქოში ივნისის 14 დახვრიტეს გენერალი ბალო მაყაშვილი, ძველი გამოცდილი მხედარი და ჩვენი სახელოვანი სარდალი.

მიზეზი?

ახალი დროის ველურთა მესისხარობა, სისხლის მსმელობა, ადამიანის სიცოცხლის დაუნდობლობა და ჩვენი სახელოვან სარდლის მამულიშვილობა.

როდესაც კომუნისტები ადერბეიჯანის შინაურ მოღალატეების წყალობით ბაქოში შემოიჭრნენ, ყოველივე მიანგრ-მოანგრიეს და თვის ველურებას ალვირი წახსნეს, როგორც ამბობენ, სხვათაშორის, საქართველოს მისიის წარმომადგენელს დგებუაძეს ქუჩის გვა დააწყებინეს.

მამულიშვილმა და ჭეშმარიტმა მხედარმა, სულით გენერალმა მაყაშვილმა სამშობლოს შეურაცხყოფა ვერ აიტანა და უნამუსო მოძალადეებს პირში ახალა:

— ნება არა გაქვთ საქართველოს წარმომადგენელს ქუჩა აგვეინოთ!.. მაგ საქმეს მე შევასრულებ, როგორც ჯარისკაციო!

მართალია თუ არა ეს ცნობა, არ ვიცით, ასეთი ხმა-კი გამოვიდა; მაგრამ ვინც გენ. მაყაშვილს იცნობდა, დაიჯერებს, რომ იგი საქართველოს შეურაცხყოფას არვის აპატიებდა.

დაიჭირეს და დახვრიტეს.

იგი ერთი იმ იშვიათ მხედრთაგანი იყო, იმ გმირ, მამაც და მამულის მოყვარულთაგანი, რომელნიც სიცოცხლის წუთებს სამშობლოს დიადობის სამსხვერპლოზე უნდა სწვავდენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

მიზეზთა და მიზეზთა გამო იგი სამშობლოს განშორდა და დღენი თვისნი ავაზაკთა ხელით უცხოეთში დალია, ეს იმ დროს, როცა მისებრ გამოცდილი მარჯვენა და სამშობლოს მოყვარული გული უფრო გვჭირია.

1918 წ. როცა მუხანათურად შემოჭრილი სამხრეთის მეზობელი განადგურებას გვიპირებდა და ამავე დროს ახალციხის საზღვრებში გაიძვერა მტერი შემოიჭრა, ბალო მაყაშვილმა მამაცური სიფიცხით მტერი საზღვარს გააცილა და თავხედობასაც ანანებდა, რომ ჩვენის რესპუბლიკის მთავრობას არ შეეჩერებინა!

იგი ნამდვილი მხედარი იყო, ქართველი მეომარი: მშვიდობის მოყვარე, მოყვასთ შემწყნარე, ქვრივ-ობოლთ მფარველი, გმირი და თავმდაბალი, მაგრამ მტრის თავზარ დამცემი!

და, აი, ასეთი მხედრის სიცოცხლის კანდელი ასე ვერაგულად ჩააქრეს მუხანათმა და გაველურებულმა წუთის ბატონებმა.

მახსოვს: შარშან სურათი ვთხოვე, როგორც დამსახურებულ სარდალს ჟურნალში მოსათავსებლად, როცა ის თბილისის მეციხოვნეთა უფროსად იყო.

— რათ გინდათ?—მკითხა.

— თქვენ დიდი ღვაწლი დასდეთ ჩვენს სამშობლოს ახალციხეში და ..

— არა, ბატონო: მე შევასრულე სამშობლოს ჯარის კაცის მოვალეობა, ის მოვალეობა, რომელიც ყოველ ქართველს ევალება.—შემაწყვეტინა.

დიახ! ჭეშმარიტად, გენერალმა ბალო მაყაშვილმა შეასრულა ქართველი ჯარის-კაცის წმინდა მოვალეობა და მას არ დაივიწყებს სამშობლო!

დიდება და კურთხევა სახელსა მისსა!

**იოსებ არიმათიელი**

# დარაჯი

დიდხანს ვეძიე ქამსა ყრმობისასა სწორი სულისა, რომელიც დამკარგოდა სიზმრეთის შორეულ მხარეს. მსურდა მეხილა იგი და მისდამი უკვდავი ტრფობა დამენთო მის სიყვარულის სამსხვერპლოზე!..

ბევრი ცრემლი ვღვარე უიმედობით დატყვევებულმა და იჭვებით აღსავსემ...

და ერთ მზიან დღეს ვიპოვნე სატრფო და სიხარული ჩემი ალხინდა მიდამოს...

ვიპოვნე სრულყოფით სავსე ის, ვინც ასე სწყუროდა ობოლ, მოხეტიალე სულს და დაუდექ მას დარაჯად. ურყევი ფიცი დავსდე მის ღიმილის და თვალთა კრთომის წინაშე, ერთგულად მედარაჯა მისთვის და არვინ შემეშო მის გულში ტრფობის შესალახად...

* *
*

დიდხანს ვეძიე ქამსა ყრმობისასა სატრფო-სამშობლოს, რომელიც დამკარგოდა და შეურაცხყოფილს შავი

*) წარმოთქმული თბილისის მუშათა კლუბში იასე რაჭველის საღამოზე თამარა ზენაიშვილის ასულის მიერ.

ჯალათი ფეხით სთელავდა მის წმიდათა-წმიდას. მსურდა მეხილა სატრფო-სამშობლო განახლებული და მისდამი უქრობი სიყვარული დამენთო მის სიდიადის სამსხვერპლოზე და სისხლი ჩემი შემეწირა უბადლო მსხვერპლად

და ერთ მზიან დღეს ვიხილე სატრფო-სამშობლო განახლებული და სიხარულმა ჩემმა დაჰფარა მთელი სამყარო...

ვიხილე შეურაცხყოფილი, მაგრამ ისევ მედიდური და ამაყი და უხმოდ ფიც-დაუდებლად, მახვილ ამოწვდილი, პირველ ფიცის გამტეხი, დიადის შეგრძნებით დაუდექ მას დარაჯად..

დაე, სატრფო შავ თვალამ დამწყევლოს, დამივიწყოს, მოღალატე მიწოდოს! მე :რ ძალმიძს ერთსა და იმავე დროს ორ სატ‑ფოს ვედგე დარაჯ:დ!..

**არჩილ მაჭავარიანი**

# მამულისთვის განწირული



შაქრო ქვლივიძე

იმ აუარებელ მსხვერპლთა შორის, რომელიც შეეწირა საშშობლოს კეთილდღეობას და ბედნიერებას, ნათლის სვეტივითა სდგას ერთი ზვარაკი, ახალგაზდა სიცოცხლით სავსე ჭაბუკი, რომელმაც არ დაიშურა არც მშობლები, არც ნათესავები, არც მეგობრები, არც სიცოცხლე თვისი, და პირზე ღიმილით ავიდა თავის ერის სამსხვერპლოზე.

ეს იყო შაქრო ქვლივიძე.

განსვენებული დაიბ. 1904 წ. 2 თებერ. სწავლობდა თბილისის მე 2-ე ვაჟთა გიმნაზიაში; ნელ-ნელ იფურჩქნებოდა ყმაწვილის გონება და ეწაფებოდა მეცნიერებას, რომ ამ დროს საქართველოს საზღვრებზე აელვარდა მტრის მახვილი. 15—16 წ. შაქროს ბევრი აღარ უფიქრია და პირველ ომშივე მოხალისედ ჩაეწერა, რათა თავისი მკერდით აეცდინა ჩვენდამი მომართული მტრის მახვილი. გადარჩა შაქრო პირველ ომს და სწავლის გაგრძელებას შეუდგა... მაგრამ არც აქ გაუღიმა ბედმა: თავი წამოყვეს ჩვენმა „მეზობელმა“ სომხებმა და საქართველოს გულის ამოცლას ლამობდენ... აქაც აღელდა ახალგაზდა მამულიშვილის მჩქეფარე სისხლი და შაქრო კვლავ პოზიციაზე ჩნდება. მოვიგერეთ მუხანათი მტერი, შეუდექით ცხოვრების აღორძინებას, მაგრამ განა ოდესმე დაუსვენია საქართველოს?

ამხედრდა ჩვენი ისტორიული მტერი და გამოელაშქრა საქართველოს საზღვრებისაკენ. ცხადია, ახალგაზდა მეომარი შაქრო გულდამშვიდებით ვერ უყურებდა ამ სურათს და თოფით ხელში მესამეთ მიდის სამშობლოს სადარაჯოზედ. ომობდა შაქრო თავგანწირული, მაგრამ ნათქვამია „გამარჯვებისათვის მსხვერპლია საჭირო“-ო და... შაქროც შეეწირა მსხვერპლათ თავის ერს და მტლად დაედო თავის მამულს, უდროვოთ დააჭკნო სიცოცხლით და ნეტარებით აღსავსე გული საქართველოს საკეთილდღეოთ ფრონტზე დაჭრილი შაქრო, დაჭრილ გვარდიელებთან ერთად მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში, სადაც 24 მაისს დალია სული და 27 მაისს დაკრძალულ იქნა სოფელ საგარეჯოში (გარე კახეთი).

გახსოვდეს, მეგობარო, რომ შენი ერი ჩაგიხუტებს გულში როგორც მისთვის თავდადებულს მეომარს და მომავალი კი ღირსებით მოიხსენიებს შენს გმირობას. ჩვენ კი, შენი მეგობრები დავსტირით შენს საფლავს, ვოხრავთ და ვსტირით შენს დაკარგვას, მაგრამ გულს მით ვიმაგრებთ რომ, გვახსენდება ილიას შემდეგი სიტყვები:

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდარი იგი თქმულა ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია“.

**ბიძინა ბოჭორიშვილი**

# ნაძვის ტყეში

(ძღვნად Marie)

დავეხეტები ნაძვის ტყეში, დავეძებ ვიღასაც, მაგრამ მეც არ ვიცი ვისა. ხან ერთი ხის ძირს მივალ, ხან მეორის ცრემლიანი, დავდგები, და მერმეთ მწარე ტანჯვით ავიხედავ მაღლა; მინდა დავსტკბე ბაღის სიმშვენიერით, მაგრამ რა დავინახავ თავ-დახრილ-დაფიქრებულ ნაძვის ტოტებს, გულს უფრო მწარე ფიქრები მომაწვება...

ნელის კლაკნით და გრეხით კვლავ განვაგრძობ ტყეში ხეტიალს, ვიმედოვნებ, სადმე მაინც შევხვდე სულიერ არსებას რომ გადავალაგო ჩემი ფიქრები მის გულში, მაგრამ ჯერ ასეთი არსადა სჩანს...

უიმედოდ დარჩენილი შუაგულ ტყეში შევიჭერი.

ირგვლივ სიჩუმე. .მხოლოდ ტყის კუთხეში მოუსვენრად ჩურჩულებს ტყის ცელქი სიო, მე ის მეგონა და იქითკენ გავექანე, მაგრამ მისვლისთანავე ჩურჩულიც შესწყდა...

გულს მომაწვა მწარე სევდა და იმედ-დაკარგული გამოვბრუნდი.

დღესაც ამ დღეში მყოფი, დავალ, დავეძებ ვიღასაც, მაგრამ მეც არ ვიცი—ვისა!

**ს. ილორელი**

# „თეატრი და ცხოვრება"-ს არსე-

(იბეჭდება საიუბილეო



„რედაქციაში"—შარჟი ს. წეროეთლისა. რედაქტორი—1, ნამდვილი იოსებ იმედაშვილი, 2, მსახიობის—მიერ შექმნილი—ვ. მატარაძე.



**ბალერინა ნინო წერეთელი** (ახლახან რუსეთიდან დაბრუნებული, ახალგაზდა მოცეკვავე.

## გათომს

კვლავ მოვედით!... კვლავ გიხილეთ, ჩემო ტურფავ, ჩემო კარგო!
ჩვენი გულის იადონო, ჩვენი სუნთქვით მონაქარგო!
კვლავ მოვედით, რომ იარა, დაგიშუშოთ, დაგიწყნაროთ,
გულში ტრფობით ჩაგიხუტოთ, გაგართოთ და გაგახაროთ!..

***

შენი ტანჯვა ქართვლის გულში მუდამ ჰქმნიდა სევდას მწარეს!..
მაგრამ სწამდა, რომ გნახვიდა კვლავ აღდგენილს თავის მხარეს...
და აღსრულდა!.. ჩვენც მოვედით: კვლავ გიხილეთ ჩემო კარგო,
რომ ალერსის ყვავილებით მოგრთოთ, გული მოგიქარგოთ!..

***

დაივიწყე ძველი ტანჯვა, დაივიწყე ძველი ურვა,
აღარ გმართებს ცრემლის ფრქვევა, აღარ გმართებს ბედის მდურვა;
საზეიმოთ მოიკაზმე, აბიბინდი, კვლავ აჰყვავდი,
მოილხინე, ლამაზ სახეს ნულარ ჰფარავს ჰმუნვა-დარდი!

***

კვლავ შენთან ვართ, კვლავ გიხილეთ, ჩემო ტურფავ, ჩემო კარგო!
ჩვენი გულის თაიგულო, ჩვენი სუნთქვით მონაქარგო!
ვაი იმას, ვინც დღეიდან გაგიმეტოს, ვინც გაგცვალოს!..—
ჭირში, ლხინში, სადაც იყო ჩემი თავი გენაცვალოს!..

დ. ჭანჭათელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გოგის 10 წლის სახსოვრად

კომისიის მოთხოვნილებით)



„ალების ცეკვა“—დრამ. ეტ. იოსებ იმედაშვილისა, შოთა მთვარეული (ნ. რიყამაძე), გიორგი ვნებაძე (ვ. მატარაძე) და სალო (გ. ივერიელი).



„რედაქციაში“—შარჟი სვ. წერეთლისა. რედაქტორი (ვ. მატარაძე), ბალერინა (ნინო წერეთელი) მსახიობქალი ან. ავალიანი) და მსახიობი (ნ. რიყამაძე).



„რედაქციაში“--შარჟი სვ. წერეთლისა. რედაქტორი (ვ. მატარაძე) და მეარღნე (ვ. გიგოშვილი)



„რედაქციაში“—შარჟი სვ. წერეთლისა. რედაქტორი ვ. (მატარაძე), ფუტურისტი (ს. ილორელი), უცნობი (ს. წერეთელი—ავტორი) და ბიჭი (ვ. მიქელაძე).

# ჩვენები



ვ. შალიკაშვილი

კომედია 3 მოქ.

პირველი პიესა, რომელსაც წილად ხვდა რუსულად არ მომენათლა, რადგან ცენზურა გაუქმდა*).

ვ. შ.

**მომქმედნი:**

**რიმსიმე** . . . . . დედა
**ტასო,** . . . . . ამისი ქალი
**გიგო,** . . . . . რიმსიმეს ვაჟი
**სოსო,** . . . . . სტუდენტი
**რეზო,** . . . . . პოეტი
**ანეტა,** . . . . . ახალგაზდა ქალი
**იაგორა.** . . . . . მაჭანკალი
**დიანოსა,** . . . . . მსახური

**მოქმედება პირველი**

ოთახი. საშუალო სიმდიდრე მეშჩანურის გემოვნებით.

**ტასო,** მერე **რიმსიმე.**

**ტასო** (ოთახს ალაგებს)

**რიმს.** (შემოდის) კარგია, გენაცვალოს დედა, არ დაიღალო, ფერი დაგეკარგება... წადი ჩაიცვი .. მოირთე და მოიკმაზე, რომ შენს საქმროს თვალები ზედ დარჩეს.

**ტასო** (საქმეს თავს ანებებს, დედას მოეხვევა და ვითომ ტირის) დედა... ჩემო დედა...

*) ამ პიესის ბეჭდვა დავიწყეთ ორი წლის წინად, მაგრამ სამწუხაროდ პირველი მოქმედების მეტი ვერ დაიბეჭდა, ახლა სრულად იბეჭდება. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**რიმ.** რა იყო, დედა შემოგევლოს?.. რა გატირებს? ტირილი კი არა, უნდა იცინო,—დღეს. ინიშნები!.. მერე ვიზე?!

**ტასო** ჰო და მეც მაგას ვჩივი... თან წამიყვანს და შენი მოშორება მაწუხებს...

**რიმ.** არსად გაგიშვებ. გენაცვალე! ორივენი ჩემთან იცხოვრებთ... მე შენ გითხრა—სახლი არა გვაქვს?!.

**ტასო** როგორ თუ შენთან?... რუსეთში აღარ უნდა წავიდეს კურსებზე?

**რიმ.** მერე რა? წავიდეს,—შენ ჩემთან დარჩი!

**ტასო** როგორ თუ ის წავიდეს და მე აქ დავრჩე?

**რიმ.** ქა, რა გიჭირს? ყველა ასე არა შვრება? ქმარი მიდის, სწავლობს, ცოლი შინა ზის და უკდის...

**ტასო** დიახ, სწორედ მაგ ჭკუაზედა ვარ... მაშ რაღათ მათხოვებ თუ შენ აღარ მოგშორდები?

**რიმ.** ზაფხულობით ჩამოვა!

**ტასო** მეტი დარდი არა მაქვს!.. მარტო გავუშვა, რომ იქ ვინმე კურსისტკას, ან კუპჩიხას გადაეკიდოს...

**რიმ.** არა, ის ისეთი ყმაწვილი არ არის ენა კვალოს იმას სიდედრი!. იმას მარტო შენ ეყვარები!

**ტასო** ოი, გაწყდეს ეხლანდელი ყმაწვილების სახელი!.. ჯვარის დაწერამდი ყველა ეგრე ლაპარაკობს, მერე-კი!

**რიმ.** მოშორებით რომ იქნები უფრო ძლიერ შეუყვარდები.

**ტასო** არ მინდა, არა! საცა ჩემი ქმარი იქნება, მეც იქ უნდა ვიყო!

**რიმ.** მერე ორივეს 50 მ. თვეში რომ არ გეყოთ?

**ტასო** ათი თუმანი გამოგზავნე რა?!

**რიმ.** ათი რათა, ქა!.. იქნებ ასი თუმანი ინებო!.. ვაი თუ გაწყინოს?!

**ტასო** შენ რა გინდა,—ჩემს ქონებას მიგზავნი, შენსას ხომ არა?!

**რიმ.** მე ხუთი დავპირდი!

**ტასო** მე რა ვქნა, რომ დაპირდი?

**რიმ.** ქა, სად შემიძლია ღარიბ დედაკაცს თვეში ათი თუმანი გაძლიოთ?!

**ტასო** მაშ მომეცი ჩემი ათასი თუმანი, მამამ რომ დამიტოვა. ეს სახლები, დუქნები ნახევარი ხომ ჩემია?

**რიმ.** მერე ვინ გართმევს ქა?

**ტასო** ჰო და თუ ჩემია, ეხლა მინდა მზითევი, ვთხოვდები. ანდერძში ასე სწერია: „როცა გათხოვდეს—მიეცესო ..“

**რიმ.** არა, ყოველ თვე ათ-ათი თუმანი გაძლიოთ თანაც სწავლის ფული ვიხადო, ხუთი წლის განმავლობაში რამდენ თანხას შეადგენს?! მერე რა ჭირი უნდა სჭამოთ შენა და შენმა ქმარმა? შვილებიც გაგიჩნდებათ.

**ტასო** ჭირიც შენა სჭამე და ხოლვერაც!.. არ მინდა არ ვთხოვდები!... აღარ მივყვები სტუდენტს ..

**რიმ.** სიკვდილსაც გაჰყოლიხარ!.. თავი ქვას ახალე!..

**ტასო** თავი ქვას ახალე და მუცელი სამართებელს!.. შენ-კი გინდა მოვკვდე... ჩემი ქონება დაგრჩება და შენ თითონ მისთხოვდები იმ სტუდენტს.

**რიმ.** ვუი, მიგალპეს ეგ ენა, შვილო, მიგალპეს!... ჯანიც გაგვარდნია—ნუ გაჰყვები!.. რა შენი საქმეა სტუდენტი, განათლებული კაცი!—შენ პრიკაშჩიკის ცოლი უნდა იყო, ან ვინმე მეხაშისა... არა შეჯდა მწყერი ხესაო.

**ტასო** დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო.

**რიმ.** ენა ჩაიწყვიტე, თორემ სულ თმებიდან დაგცლი!...

**ტასო** არა, არ დავჩუმდები! . ქვეყანას გავაგებინებ, რომ შენ ჩემს ქონებას სჭამ .. ვითომ შენც აპეკუნი ხარ რაღა!

**რიმ.** მიწამ გჭამოს შენა!.. შე გველის წიწილავ!..

**ტასო** კვიცი დედაზე ხტისო!..

**რიმ.** ადე, გაეთრიე აქედან!

**ტასო** ქა, ჩემს სახლიდან მაგდებ? არა, რა უფლებით?!.. წაიღე შენი მეშვიდედი და შენ თითონ წადი!

**რიმ.** (სიბრაზისაგან ცახცახებს) ოი, შხამათ ჩემი ამაგი, შხამათ!..

**ტასო** შხამათ და ბრაზათ მამიჩემის ქონება!..

**რიმ** (გაბრაზებული მიიწევს)

**ტასო** არ მომეკარო! (ზარი)

**რიმ.** —ქა, მგონი კიდეც მოვიდნენ! (დაყვავებით) ადე გენაცვალოს დედა, ჩაიცვი... კარგი, ეხლა შევრიგდეთ!

**ტასო** არა, არ ავდგები!

**რიმ.** სირცხვილია ასე რომ დახვდე საქმროს, რას იტყვის? განათლებული კაცია!

**ტასო** არ მინდა!

**რიმ.** დახე, რომ გაჯავრდი, სახე რანაირად გამოგეცვალა! წადი, პირზე წყალი შეისხი, პუდრი და პომადა წაიცხე.

**ტასო** არ მინდა, არა! (ზარი)

**რიმ.** (კარებს მივარდება) დიანოსა! დიანოსა. შე სასიკვდილე, არ გესმის, ბიჭო? (შემოდის დიანოსა)

**რიმ.** შე სასიკვდილევ, არ გესმის—ზარი ჩამოგლიჯეს!

**დიან.** მეძინა!

**რიმ.** საუკუნოდ დაიძინე შენა, აჰა!

**დიან.** ვაა, რათა?! (ზარი).

**რიმ.** წადი, ჩქარა გაუღე! (ბიჭი გადის) ადე, გენაცვალოს დედა!.. ნუ მომჭერი თავი!

**ტასო** (სიბრაზისაგან ტუჩებს იკვნეტს) არ მინდა!

**რიმ.** ღმერთო ეს რა ჭირია?!.. გოგო ადე, აქედან მაინც გადი, ნუ ხარ იუბკის ამარა!

**ტასო** არ მინდა!.. არ წავალ!.. (დიანოსა შემოდის)

**ლან.** მოვიდნენ!.. (მეორე ოთახში შედის)

**რიმ.** (კარებს მივარდება, რომელშიაც იაგორა გამოჩნდება) ვუიმე, იაგორ მიტროფანიჩ! შენი ჭირიმე, ჯერ აქ ნუ შემოიყვან... (შემოდის იაგორა)

**იაგ.** (შემოდის) რატომ, რა ამბავია?

**რიმ.** ამ სასიკვდილეს ვერაფერი შევასმენინე... არ უნდა ტანთ ჩაიცვას.

**იაგ.** კაკ მოჟნა?! სოვსტვენო ლოვორია, კიდეც ჩაიცვამს და კიდეც მოირთვება!

**რიმ.** სიძე სადღაა?

**იაგ.** პარიკმახერთან შევიდა... უნდა შევლამაზდეო.. ეხლავე მოვა.

**რიმ.** ისედაც ლამაზი ბიჭია, ვენაცვალე იმას...

**იაგ.** მერეო ბობოლერკა უნდა ვიყიდოო.

**რიმ.** ეს რაღაა, გენაცვალე?

**იაგ.** კაფენტი, კაფენტი... ასე უნდაო... განათლებული კაცია, კაკ მოჟნა, იცის!

**რიმ.** ადე, შვილო, ბედი კარზე მოგვადგა... ნუ ჯიუტობ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



**იამ.** კაკ მოქნა?.. უნდა მოემზადოს, აბა?!

**ტასო.** თუ მომცემთ იმის პირობას—თან გამაყოლებთ – ჩავიცვამ... თუ არა და—არ მინდა, არა ვთხოვდები!

**იაგ.** რაფეროო?

**რიმ.** რუსეთში რო წავა სოსო, თან გამაყოლეთო.. ამაზე მამტვრევს თავპირს.

**იაგო.** იმე, კაკ მოქნა აპა!.. სობსტვენო ლოვორია, კიდეც გაყვება და კიდეც გამოყვება.., აბა, რავა იქნება!

**ტასო.** დიახ, გავყვე და ორთავე შიმშილით მოვკვდეთ... ხუთი თუმანი რას გვეყოფა?!

**რიმს.** კარგი, ათი იყოს, ჯანაბას... ადე. ჩაიცვი!

**ტასო** (დგება) ჰო და ეგრე! (შედის ოთახში)

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვ. შალიკაშვილი

# ნაძალადევ-დიდუბ ს მუშათა კლუბების გარშემო

ბევრი დაიწერა და ბევრიც დაიწერება ნაძალადევ-დიდუბის კლუბებზედ, მაგრამ წარსულს არ აღნიშნავს მისი სწორ-უტყუარი ისტორია, აწმყოში კი ჩვენი ვალია ასეთ არა ნორმალურ მოვლენას ავსცდეთ და მკითხველ საზოგადოებას უტყუარი ფაკტებით აღუნიშნოთ ის, რასაც სინამდვილეში ვხედავთ. ჩვენ ერთი სწორი საზომი უნდა გვქონდეს ამ საზოგადო მუშაობისათვის და თუ გზა და გზა შევვხვდება დაბრკოლებები, რომ ვინმე პიროვნებას შევეხოთ, ეს არ უნდა გვაშინებდეს, ვინაიდან „მოყვარეს პირში უძრახეო", ამბობს ქართული ანდაზა და ეს ლოზუნგი ჩვენს მუშაობას სარჩულად უნდა დაედვას.

გასული წლის დასაწყისში რკინის გზელთა კულტურა-განათლების კომისიამ ჩაიბარა მუშათა ორივე კლუბი და ბატონ-პატრონად თავისი თავი აღიარა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ქონდა, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს მძლეთა-მძლე კომისიის ხელმძღვანელები უფრო ფრთხილად და ენერგიულად მოეკიდებოდენ ამ ფრიად სიმპატიურსა და საჭირო საქმეს, მაგრამ ჯერჯერობით იმედები არ გაგვიმართლდა. მიზეზი ბევრია, ყველაზედ უფრო მეტი და თვალსაჩინო ისაა, რომ ამ მუშაობის ხელმძღვანელები ან არ იცნობდენ ან და დრო არა აქვთ, და სხვა საქმეებს რკინის გზისას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ვგონებ თეატრსა და მის მნიშვნელობას. შეცდომაც სწორედ აქ არის; პირველად ყოვლისა მუშათა კლუბები, მისი წევრების განვითარება-გათვითცნობიერება, ხელოვნება, პოეზია, მუსიკა,—ეს სულიერი და გონიერი საზრდო და დანარჩენი შემდეგ.

აი, ეს იქნება უდიდესი სამსახური მუშების და მათი კლუბების, ეს იქნება ხელმძღვანელობა იმ დაკისრებულ მოვალეობისა, რომელსაც პირველ რიგში უნდა აყენებდეს რკინის გზელთა კულტურა-განათლების კომისია.

ან. კაციაშვილი

(შემდეგი იქნება)

# მუშის სიმღერა

სიმდიდრისა შემქნელი ვარ, დანდობილი მარჯვენაზე,
ქვეყნისათვის სასარგებლო მკვიდრად ვსდგევარ ნიადაგზე.

მუშა ვარ, მუშად დავრჩები, ჩემებრ მოვაწყობ სოფელსა,
მებრძოლთა რაზმში ჩავსდგები და აღვასრულებ ყოველს.

სამშობლოს ვენაცვალები, მის სიყვარულით ვცოცხალვარ,
მისთვის ვმხნეობ და ვიბრძვი, მე მის დამხსნელად შევქნილვარ.

1905 წ.

ახო

# დედა-ბუნების ძირითადი კანონები

**ვუძღვნი ქართველი ერის წინამძღოლს
ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას.**

ყოველივე, რაც არსებობს დედამიწაზე, და თვით დედა-მიწაც კი ემორჩილება ერთს ძირითად კანონს. ეს კანონი არის ცვალებადობის კანონი. ამ კანონის შეგნებამ და გაშუქებამ გააქარწყლა ის ძველთაგან ძველი ზღაპარი, რომლითაც თავს იტყუილებდა უმეცარი ადამიანი, რომ ღმერთმა ექვსი დღის განმავლობაში შექმნა ქვეყანა და მეშვიდე დღეზედ მოისვენაო. ექვსი და შვიდი დღე-კი არა, მრავლითგან მრავალი მილიონი წლების განმავლობაში სწარმობდა ქვეყნიერებათა შექმნის პროცესი და დღესაც ეს პროცესი უნაკლულოდა და შეუჩერებლივ სწარმოებს. ასეც რომ არ იყოს, ხომ ყოველივე გაქვავდებოდა და სადღა იქნებოდა ის ფერადობა და ცხოველმყოფელობა, რომლითაც ესოდენ მშვენიერი და სანეტარო თვით ბუნება, თვით სიცოცხლე!

ეჭვ გარეშეა, რომ ჩვენი ცთომილი—დედა-მიწა ერთი უმცირედესი ნამცეცია იმ ქვეყნიერებათა შორის, რომელნიც ოქროს თვლებივით ამშვენებენ აურაცხელის სიშორიდან განუზომელს სივრცეს. ეჭვგარეშეა ისიც, რომ ყველა ეს ქვეყნიერებანი მუდმივს მოძრაობაში არიან და მათ შორის ჩვენი დედა-მიწაც განუწყვეტლივ ტრიალებს თვისის ღერძის გარეშემო და მზის ირგვლივ. უეჭველია ისიც, რომ ამხანადაც ჩამოყალიბებულ ქვეყნიერებათა შორის არიან ისეთებიც, რომელნიც ნისლისებურის სახით განუწყვეტელ მოძრაობაში ჰლამობენ მიიღონ თვისი ფორმა და შეიქმნან ისეთსავე ქვეყნიერებად, როგორადაც დანარჩენნი.

—რა არის ეს ნისლი?

—იგია შეკუმშული ეთერი, რომელიც არის შემადგენელი მასსა მთელის თვალუწვდენელის სივრცისა. ეს ნისლი არის ის კვერცხი, რომლიდგანაც წარმოსდგნენ ყველა ქვეყნიერებანი და მათ შორის ჩვენი დედა-მიწაცა.

—აქვს თუ არა ამ ნისლს რაიმე იმ შემადგენელ ნივთიერებათაგან, რომელნიც ახასიათებენ მაგალითად ჩვენს დედა მიწას?

—დიახ, აქვსთ. როგორადაც სპექტრალური ანალიზი გვიჩვენებს, მათი შემადგენელი ნივთიერებები არიან წყალმბადი და აზოტი.

—რა ფორმის არიან ეს ნისლები?—ოსპის სახისა. ესე იგი, იხეთი სახისა, როგორიც უნდა ჰქონდეს ყოველს სხეულს, რომელიც მოძრაობს თვისის ღერძის გარშემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— რის გამოისობით იკუმშება ეთერი და იღებს ნისლის სახეს?

— მიმზიდველობის ძალის მეოხებით.

— თუ მიმზიდველობის ძალა მოქმედობს, ნისლებიც უნდა ერთი მეორეს იზიდავდნენ?

— დიაღ, იზიდავენ და დიდ ნისლს უერთდება მომცრო. ხოლო ამ შეკუმშვის გამოისობით ეს ნისლები ხურდებიან და ანათებენ. ანათებენ ისე, როგორადაც მზე და ვარსკვლავები.

— ანათებს თუ არა დედა-მიწა?

— არა, არ ანათებს იმ ტომ, რომ იგი უკვე განელდა და დაჰკარგა თვისი მგზნებარე თვისებები. ანათებენ მზე და ვარსკვლავები, რომელნიც ამხანად წარმოადგენენ აღტყინებულ სხეულებს. მსოფლიოს ყველა სხეულთა შორის სუფევს ერთი ძლიერი ძალა. ეს ძალა არის სიმძიმის ძალა ანუ მიმზიდველობის ძალა, რომელიც აგრეთვე მოქმედობს დედა-მიწაზე მყოფ ყველა საგანსა და არსებაზე. იგივე მიმზიდველობის ძალა აღელვებს ზღვებსა და ოკიანებს. იგივე ძალა არის პირველი გამოსახულება არსებობისათვის ბრძოლისა, რომელიც ესოდენ მკაცრი და სასტიკია ცოცხალ არსებათა შორის. ხოლო არსებობისათვის ბრძოლის კანონი არის განუწყვეტელი და მუდმივი წყარო იმ მოძრაობისა, რომელიც უზრუნველჰყოფს სხეულთა განვითარებასა და შედარებით სრულყოფას.

თუ ქვეყნიერებათა კვერცხს წარმოადგენენ ნისლისებური სხეულები, აგრე წოდებულ ცოცხალ არსებათა კვერცხს, ანუ პირველ სხეულს, ანუ დედოსხეულს წარმოადგენენ ის ერთ უჯრედოვანი სხეულნი, რომელთაც ამხანად მეცნიერნი უწოდებენ პროტისტებს. გარეშე პირობათა ზედგავლენითა და მრავალგვარ გარემოებათა მეოხებით ეს დედოსხეულები განვითარდნენ, დიფერენციაციის კანონის მეოხებით გართულდნენ და შეიქმნენ მრავალ-უჯრედოვან სხეულებად, რომელთა უმაღლეს საფეხურსაც წარმოადგენს თვით ადამიანი. რასაკვირველია, ეს განვითარება, ევოლიუცია, ხდებოდა მრავალ მილიარდ წელთა განმავლობაში და ხდებოდა ნელის თანდათანობით. უეჭველია, მრავალ ცოცხალ არსებათა ახალ ფორმების შექმნას აფერხებდა ხოლმე ერთი თუ მეორე უხერხული პირობები ჰაერისა, სითბო-სიცივისა, სინათლისა, წყლის მეტ-ნაკლებობისა, საკვები მასალის სიმცირისა და სხვა. და არსებულ ფორმათა გაძლება-განვითარებაში უპირატესობა რჩებოდათ ისეთებს, რომელნიც უკეთესად იგუებდნენ და ეგუებოდნენ ხოლმე იმ პირობებს, რომელნიც მათ გარს ეხვიათ. უეჭველია ისიც, რომ ცუდად შემგუებელნი და ცუდად შეგუებულნი იღუპებოდნენ და სარბიელი, ბურთი და მოედანი რჩებოდათ უკეთ შეგუებულთა და მეტად მძლავრთ. ბრძოლა სწარმოებდა, და დღესაც სწარმოებს, სასტიკი და შეუბრალებელი და ამ ბრძოლაში გამარჯვებისათვის ყოველს სასიცოცხლო ფორმას უნდა შეეძინა და მოეხდინა თვის სხეულში ისეთი დიფერენციაცია, ისეთი ოინები, რომელნიც უზრუნველჰყოფდნენ მისსა და მისი შთამომავლობის დღეგრძელობასა და კეთილდღეობას. და ასეც მოხდა. ის სიცოცხლისათვის სასარგებლო უჯრედები, ან უჯრედთა ჯგუფები, რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ ორგანოებად, ვითარდებოდნენ საუკეთესო შეგუებისათვის არა ყოველს ფორმებში, არამედ მხოლოდ რჩეულებში. ამ გვარად ხდებოდა და ხდება ბუნებაში ბუნებრივი შერჩევა და რჩეულთა გამარჯვება. ჩვენ აქ არას ვამბობთ იმ ხელოვნურს შერჩევაზე, რომელსაც ახდენს განათლებული ადამიანი თვის სასარგებლო მცენარეთა და შინაურ ცხოველთა ფორმების გასაუმჯობესებლად და საკეთილდღეოდ. ამ ხელოვნურს შერჩევას საფუძვლად დაედვა ის ბუნებრივი შერჩევა, რომელიც კულტუროსანმა ადამიანმა გაიცნო ბუნების შესწავლით.

ამ ბუნებრივი შერჩევის კანონის მეოხებით ხდებოდა და თანდათანობით ხდება ის თვალსაჩინო და საოცარი განვითარება ცოცხალ ფორმებისა, რომელმაც მიაღწია ამხანად დღევანდელს ადამიანამდე, რომლის საოცრად განვითარებულმა და გადიფერენციაცებულმა ტვინის უჯრედებმა შექმნეს დღევანდელი კულტურა, დღევანდელი ცივილიზაცია.

ამ ცოცხალ არსებათა ცვალებადობის, ევოლიუციის კანონმა და მისგან გამოწვეულმა მიზანშეწონილებამ შექნეს ბუნებრივისა და სქესობრივის შერჩევების საშუალებით ის საუცხოვო, თვალწარმტაცი ფერადობა და სილამაზესიმშვენიერე, რომლითაც ესოდენ სანეტარო არის თვით სიცოცხლე. ამ ევოლიუციის აუცილებლობამ და საჭიროებამ შექმნა ისეთი საოცარი მოვლენები, რომელნიც ცხადჰყოფენ უბრალო მინდვრის სამყურა ბალახიდან დაწყებული ადამიანამდე მიზანშეწონილობას, გამჭრიახობას, წინდახედულობას, ალღოსა და თვით ჭკუასაც. უყურებ და ოცდები, სწავლობ და გაკვირვებას ეძლევი, უკვირდები და ცვიფრდები, რომ მინდვრის ყვავილს მოუწყვია თვისი ცხოვრებისა და თვისის გვარის გამრავლების საკითხი დამოუკიდებლად, თუ ამა თუ იმ მწერთან შეთანხმებით, ერთს მწერს თუ სხვა რაიმე ცხოველს მოუწყვია თვისი კეთილდღეობა და სიცოცხლეც კი მეორე ცხოველთან დამოკიდებულებითა და შეთანხმებით, სადაც ურთიერთობა და საერთო სარგებლობა გამოსჭვივის აშკარად, თვალსაჩინოდ

ჩვენ რომ ასეთს მაგალითებს ფეხ-და-ფეხ მივდიოთ, გავითვალისწინოთ ისინი და ავხსნათ, მთელი ტომის დაწერა დაგვჭირდებოდა. ამისათვის არც დრო გვაქვს და არც ადგილი. ხოლო ისეთის მაგალითების ახსნისთვის, რომელთაც ჩვენ სხვა სახელს ვერ დავარქმევთ, თუ არ „ოინები", მე მსურს ამხანად გავუმასპინძლდე მკითხველს იმ მოსაზრებითა და სურვილით, რომ თუ ყოველს მკითხველს არა, ახალთაობას მაინც აღვუძრა გულში ცოდნისა და ბუნების მოყვარეობა საზოგადოდ და მასთან ერთად სამშობლო ბუნების სიყვარული.

ვიდრე დაპირებულს ახსნას შევუდგებოდე, საჭიროდ მიმაჩნია გავაცნო ჩემი მკითხველები ერთს კანონს, რომელსაც ისეთივე ძირითადი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ სხეულთა განვითარების, ევოლიუციის, საქმეში, როგორადაც ზემოხსენებულებს და რომელიც მათთან ერთად გამოკვლეული და დასაბუთებულია უკვდავის მეცნიერის ჩარლზ დარვინის მიერ.

ეს კანონი გახლავთ მემკვიდრეობითი კანონი, ანუ შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობითი გადაცემის კანონი, რომელიც ზერელედ გამოხატულია ჩვენი ერის მდაბიო სიტყვებით: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე"-ო. იგი გვიკარნახებს, რომ ყოველი ის თვისება, რომელიც სასარგებლოა ამა თუ იმ არსებათა სახის კეთილდღეობისათვის არსებობისათვის ბრძოლის წარმოებაში, გადაეცემა ხოლმე მშობლებიდან შთამომავლობას.

ყველა ეს კანონები ორგანიული ცხოვრებისა ცხადჰყოფენ იმ ჭეშმარიტებას, რომ მთელი სხეულთა ცვალე-

ბადობა, მთელი სხეულთა თანდათანობითი განვითარება, ევოლიუცია, ხდებოდა და ხდება არა რომელსამე ძველის თუ ახალის ღვთაების სურვილითა და ბრძანებით, არამედ სრულიად მექანიკურად, თავის თავად, სარგებლობის აუცილებლობის გამოისობით და, რომ ეს არა, დღეს მთელი ორგანიული ბუნება წარეცხილი იქნებოდა დედა-მიწის პირისაგან.

ყოველსავე ამას ცხადჰყოფს დღევანდელი მეცნიერება თვისის უკვდავის გენიოსის ჩარლზ დარვინის მეთაურობით. ყოველი რთული სხეული რომ სადა სხეულიდან წარმოსდგა და განვითარდა, ევოლიუცია რომ სრული სინამდვილეა და არა აზრით შექმნილი წარმოდგენა, ამას გვიმტკიცებს ჯერ ერთი თანამედროვე სადა და რთულ სხეულთა აგებულების შესწავლა და მეორეც ამ ფორმათა და სხეულთა აგებულება, რომელნიც უკვე აღიგავნენ დედამიწის პირისაგან და რომელთა ნაშთი მოიპოვება დედამიწის წიაღში. გარდა ამისა ევოლიუციას ცხადჰყოფს ყოველივე სხეულის ემბრიოლოგიური შესწავლა-დაკვირვება, რომელიც სრულიად აშკარად წარმოგვიდგენს ყოველს კერძო სხეულში მთელის სახის ნიშნობლივს თვისებებს, რომელნიც დამთავრებულს სხეულში ან უკვე აღარა სჩანან, ან და ჩანასახად არიან წარმოდგენილნი. ამ მოვლენას დიდებულმა მეცნიერმა ჰეკკელმა დაარქვა „ბიოგენეტიური ძირითადი კანონი“. ეს კანონი ამბობს: განვითარების ინდივიდუალური ისტორია ყოველის სრულის არსებისა დაწყებული ჩანასახის უჯრედიდან სრულს ფორმამდე პრინციპიალურად წარმოადგენს მთელი მისი გვარის ისტორიის განმეორებას“. ხოლო ნურავინ იფიქრებს, თითქო ეს კანონი ზღუდავდეს სხეულის პირადის ინდივიდუალობის ცვალებადობა-განვითარებას. პირიქით-ყოველსავე კერძო სხეულის გვარეულობაში დამზადებულ-დაგროვებულ სასარგებლო თვისებათა გაშლა-განვითარება განუწყვეტლივ დაუბრკოლებლივ სწარმოებს და თვით ბიოგენეტიური ძირითადი კანონია ამის მოწმე და დამასაბუთებელი.

**ივანე ელიაშვილი**

(გაგრძელება იქნება).

# სულხანიშვილის საღამოზე

(შთაბეჭდილებანი)

„უკვდავება მხოლოდ მშვენიერ სულში მდგომარებს-ო,“ — ამბობს პოეტი.

მართლაც ეს სიტყვები დაგიდგებოდა გონების თვალ წინ, როდესაც ისმენდი ნ. სულხანიშვილის ნაწარმოებს 26 ივნისს სახელმწიფო თეატრში.

მისი „სულთათანა,“ ეგ ხომ ნამდვილი გასახიერებაა, სწორედ იმ წამისა, იმ უკანასკნელ წამისა, როდესაც თვით ჩვენ ყოფნას, აქ, დღის სინათლეზედ ედება უკანასკნელი საზღვარი და სამუდამოთ მკვიდრდება ლოდს ქვეშ ცივ სამარეში. ეგ ხომ საშინელება არის, საშინელება სასტიკი, მაგრამ აუცილებელი. და ამ ტრაგედიის და ამ წამის სრული გამომხატველია მისი „სულთათანა“. მისი სევდიანი, გულის ამაყუჩებელი ჰანგები, ამას ნათლათ გვიყენებს თვალ-წინ, ამ საშინელ განშორების წამს.

მაგრამ ნიკო ამასთანავე, მიუხედავათ თავის მძიმე ხვედრისა და გაჭირვებისა, სიცოცხლის ძალზედ მოყვარული იყო. „მაშ გამარჯვება ტკბილო სიცოცხლე!“ ეგ ხომ ნამდვილი ზეიმია, ზეიმი გამოღვიძებული ერისა, ჯან-გაუტეხელ სიცოცხლის მწყურვალ ერისა.

„მესტვირული“ მამა დ. სალარიძის მიერ შესრულებული ამხანაგების კაპელასთან ერთად (ბ. ვიქ. დანოვსკის ხელმძღვანელობით) ეს ნამდვილი ხალხის გულიდან აღმონახეთქი სიმფონიაა, სიმფონია ბრძოლისა, ერთობისა და გამარჯვებისა.

„გუთნური,“ „სამშობლო ხევსურისა“ — ეს წინაპრების და მამულის უანგარო სიყვარულის მხიბლავი ჰანგებია, რომელნიც სულს-გულს იმონებს და გადაყევხარ შორს, ოცნების მხარეში!..

„დაიგვიანეს“ — ივ. ბიწკინაშვილის მიერ შესრულებული მაისურაძის ხოროსთან ერთად — ესეც ხომ ხალხის გულიდან არის აღმომსკდარი. ეს მთის სიმღერაა, მასავით წმინდა და ბუმბერაზი, მალხაზ ბუნების შვილის მწყემსის მიერ შესრულებული. თავისი უკვდავი სული ნ. სულხანიშვილმა უკვდავ ჰანგებში ჩააქსოვა და გადასცა იგი თავის სამშობლოს, საყვარელ საქართველოს.

ჯერ კიდევ ბევრი რამის შექმნა შეეძლო, რომ დაენდო წუთისოფელს, მაგრამ უდროოდ ჯერ-სულ ახალგაზდა მოსწყდა იგი მას.

მართლაც რომ „ულვთო იყო მისი სიკვდილი“.

**გ. პუპიშვილი**

# ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს საზეიმო საღამოზე

**მისალოცი სიტყვები**

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს არსებობის ათის წლის შესრულების აღსანიშნავად წარმოთქმული მეორე ქართულ კლუბში ივნისის 26-ს *)

**ძვირფასო იოსებ!**

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს სახელობის 1920 წ. ივნისში დაარსებული ახალგაზრდა ხელოვანთა წრის დავალებით მინდა გითხრა ორიოდე სიტყვა. ხელოვანთა წრემ განიძრახა ამიერიდან აქტიურად შეუდგეს მის მიერ დასახულ მიზნების განხორციელებას და ცხოვრებაში გაატაროს იგი: უმთავრესი მიზანი ამ წრისა არის ავოს სახალხო სახლი „თეატრი და ცხოვრება“-ს სახელით თბილისის ერთ-ერთ განაპირა უბანში, გამოსცეს დრამატიული ნაწარმოებნი, გამართოს საღამო-კონცერტები, რეფერატები, ლექციები და სხ. ამ მიზნისთვის არჩეულმა კომისიამ თავის მორიგ 26 ივნისის სხდომაზე აგირჩიათ თქვენ საპატიო თავმჯდომარედ. წრე იმედოვნებს, რომ თქვენ ისევე დაუღალავათ შეეშმებით ულელში, როგორც ეს წრე და შეუწყობთ ხელს ყოველივე მიზნის განხორციელებაში. წრე გილოცავთ თქვენ, იუბილიარო, 10 წლის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს არსებობას. უსურვებ

*) იბეჭდება სადღესასწაულო კომიის დადგენილებით სრულიად უცვლელად. ამ ნომერშივეა მიდის ანგარიში, შემდეგ დაიბეჭდება რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მას დღეგრძელობას და თქვენ ხანგრძლივ სიცოცხლეს. მიიღეთ ჩვენგან ეს საჩუქარი.*)

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!

**ახალგაზდა ხელოვანთა წრის მონდობილობით სვ. წერეთელი.**

---

### პატიოსან მუშაკთა მესვეურო!

სიამოვნებით ვეგებებით შენი მოღვაწეობის 25 წლის თავს და შენი უანგარო და დაუღალავი შრომას ნაყოფს ქართული სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალის ,,თეატრი და ცხოვრება"-ს 10 წლ-ს შესრულებას.

ვუსურვებთ შენს გასალკდევებულ ენერგიას არ შემდრკალიყოს და იმავ ჩვეულებრივის ძალ-ღონით განეგრძოს თვისი პატიოსანი გზა წმინდა ხელოვნების მიმართ. იცოცხლე და იდღეგრძელე ჩაგრულთა ნუგეშო და მშრომელთა დედა-ბოძო, გისურვებთ ასეთ დღესასწაულს უკვე თეთრი წვერით მოსილს მეტის ზეიმით და აღტაცებით გიხდიდენ საქართველოს მადლიერნი შვილნი.

**ვ. ავალიანი**

---

### ამხ. იოსებ იმედაშვილს

**მისი ჟურ. ,,თეატ-ცხ." 10 წ. არსებობის აღსანიშნავად.**

ამხანაგო იოსებ! ეს შენი ათი წლის მოღვაწეობა, ამ მართლაცა და ერთად ერთი ჟურნალის ხელმძღვანელობა სწორეთ რომ ვთქვა, გასაოცრებაა სხვა რომ არა იყოსრა.. თავი დავანებოთ ხელ მოკლეობა, უსახსრობას, მივაქციოთ ყურადღება მხოლოთ იმას, თუ ამ ხნის განმავლობაში როგორის თავგამოდებით გებრძოდნენ და, ასე გასინჯა, სასაცილოთაც კი გიღებდნენ, მაგრამ, მიუხედავათ ასეთი მოპყრობის, შენ მაინც სძლიე ყოველივეს და ერთხელ დასახულ მიზანს არ დასცილდი, არ უღალატე, გამოვტყდები და ვაღიარებ ახლა შენს წინაშე ჩემს საკუთარს დანაშაულს შენდამი ჩანადენს. აქვე საჭიროთ ვრაცხ განვაცხადო, რომ ეს ჩანადენი იყო სხვათა ზეგავლენით, სხვების კარნახით, მეც სხვებთან ერთათ პირში თუ პირს უკან შენზე ცუდის მეტს კარგს არას ვამბობდი: ვინ იმედაშვილი და ჟურნალის გამოცემა, რის პატრონი, რისი მქონი, თქო და სხვა.

მერე მარტო შენ იყავი ასე დამცირებული, არრათ მიჩნეული? გავიხსენოთ ღარჩიაშვილი, გომართელი, ევდოშვილი... განა შენზე ნაკლებათ იყვნენ ეს მოღვაწენი დევნილნი?

ახლა არ იკითხავთ, თუ რა იყო ამის მიზეზი, ასეთი თქვენდამი დამოკიდებულების? ვაი რომ მიმძიმს ახლა თქმა იმისი, რითაც მაშინ მას ჟამსა შინა კიდეც ვამაყობდით და სასახელოთ მიგვაჩნდა: ეს იყო ეროვნული გრძობის, საკუთარი ვინაობის აღიარება-ცნობა; აი, ის საფრთხობელა, რისი ხსენებაც იმ დროს ელეთ-მელეთსა გვრიდა ჩვენის საზოგადოების კარგა დიდ ნაწილსა.

შენ პირდაპირ ამბობდი: ქართველო ხალხო, მიხედმოიხედე შენს გარეშემო, ისმინე და დაინახე რა ხდება, ვინ როგორ მოქმედობს, ვინ რას ჩადის. თუ შენი მეზობლები საკუთარ კარმიდამოს ღობე-გალავანს აცლიან შენც მოაცალე, მაგრამ თუ ისინი უფრო ამაგრებენ და ამაღლებენ, შენც გაამაგრე, გახსომდეს დიდებულის წინასწარმეტყველის უკვდავი სიტყვები: კბილი—კბილის წილ თვალი—თვალის წილო გაგიმეორებ: პატივს გცემენ მაშინ, როცა თვით შენს თავს უვლი და პატრონობ, გაიხსენე, წარსული, დააკვირდი აწმყოს, გაითვალისწინე მომავალი წარსულით აწმყო მოიწესრიგე, აწმყოთი მომავალი დაიახლოვეო...

აი, შენი ღაღადისი ხან ლოცვა-ვედრებითი წარმოთქმული და ხანაც მღელვარე ზღვასავით მოვუგუნე. განვლო დრომ. დრომ იმეფა და შენთან ერთად მრავალი სხვაც გაახარა: გულის ნატვრა აუსრულდათ, ქაჯთა ციხეს კარები შეუმტვრიეს და ჩვენი მარად ჟამს გულ-გონებიდან მოუშორებელი ნესტან დარეჯანი გაათავისუფლეს, ნეტარება მას და ნეტარება შენც, ჩვენო ამხანაგო იოსებ. რთველში ხარ, იმკი მას, რაც დაგითესია. ათასჯერ ნეტარება შენ, რომ ახლა ის, ვინც გუშინ-გუშინ წინ გკილამდა, ავათ გიხსენებდა, ახლა გდაფნის და სრული შეგნებით წრფელის გრძნობით გეუბნება:

ვაშა დიდას, რომელმაცა შენისთანა შვილი ზარდა;
ვის ნანითაც ჩაგრულ ერი სიყრმიდანვე შეუყვარდა!
ვინც გავალა: შვილო ჩემო, გახდი გმირი სასახელო,
ჩემზე მეტათ შეიყვარი შენ პატარა საქართველო.
ის გიყვარდეს, ის მიგაჩნდეს გულ-გონების მფლობელ ძალათ
თუ ის დასთმე, იმის შემდეგ თავს ნუ ჩასთვლი შენ
ცოცხალათ.
რა შვილია დედის მკობი, ან რა ხეირს შეეყრება?
ობოლ-ოხერს უპატრონოს ფეხთ ბორკილი გაეყრება.
უბინაო, უთვისტომი, ღობე-ყორეს მოედება,
და ვინ უწყის რომელ მხარეს რა ყოფაში სული ჰხდება.
და ამიტომ, ჩემო შვილო, არ მოსცილდე მშობელ მხარეს,
შეეთვისე, როგორც მის ლხინს, ისე ტანჯვა-სიმწუხარეს.
და როდესაც მოითხოვოს დრომ სამსხვერპლო სანაცვალო,
ვინძლო, შვილო, პირველი შენ წაოსდგე და მას ენაცვალო!

მუშა **იოსებ გარსევანიშვილი** *)

---

მახსოვს, ბატონო იოსებ, შენი წარსული, შენი ცხოვრება. მწარე იყო, შხამით მოსილი, მავნე გდევნიდა, გულს ვიკაწრიდა, სულს გიხუთავდა თვისი ბრჭყალებით, მაგრა გსერავდა ყოველი წამი, მძიმე განცდა იყო შენი ცხოვრება, მაგრამ მაინც შენში ვერ ჰპოვა სიმუხთლე ბინა, თითონ გაგშორდა, შენ კი მირბიხარ იქ, სადაც გინდა, სად მიისწრაფის შენი გულის თქმა.

მავნეს ვერ ძალუძს, რომ გზა შეგიკრას. თუმც კი ბნელაში გაჰკაფე გზანი, ძეძვი-ეკალი ფეხებს გიჩხვლეტდა, მაგრამ სულდიდო, მაინც არ შედრკი, ააფრიალე დროშა დიად მიზნისა! გიძღვნი მადლობას და გამარჯვებას.

**ანნა ვენეცკისა**

---

დიდად პატივ-ცემულო იოსებ! გიძღვნი გულითად გრძნოეიერ სალამს თქვენი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს ათი წლის შესრულების გამო. შუხუთის სცენის მოყვარეთა წრის სახელით მოგესალმებით, ყოფილიყოთ უდრეკათ და თქვენი იდეური შრომით ხანგრძლივათ გაგეტარებიოთ მრავალი წელი, ვინაიდან თქვენი ჟურნალის მიერ გადმოშუქებულ სხივს ცხოვრების სარკისას თანაზიარად ვიფენთ ჩვენც. და თქვენი ხელოვნური მოღვაწეობა ამ ჟურნალში ჩვენს წრეშიაც მეტს სიყვარულს მოგვფენს.

**ილია ორაგველიძე**

---

*) ამასთანავე მიართვეს ვეება სურათი თვით იოსებ იმედაშვილისა, ახალგაზდა მხატვრის კახიძის მიერ დახატული, ჩარჩოში ჩასმული, უჭკნობ მწვანე რტოებით მოხლართული და ვარდ-ყვავილებით შემკული.

*) ეს ის მუშა გარსევანიშვილია, რომელმაც რ. ერისთვის იუბილეზე 1895 წ. თავისი გამოსვლით და სიტყვით საერთო აღტაცება გამოიწვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა






**მუშათა ცენტრალურ კლუბში** ივნისის 24 გაიმართა იასე რაჭველის საღამო.

ვინც წრფელის სიყვარულით იდგა იმ ხალხთა წყებაში, რომელიც მძიმე ატმოსფერაში ქმნიდა საქმეებს სამშობლოსადმი პატივისა და მსახურებისა, უნდა იქნეს ჩვენი თაობის მიერ მოგონებული და დაფასებული. იასე რაჭველი არ არის გაშლილი პოლიტიკური მოღვაწე, ან ძლიერი ტემპერამენტის და ინტუიციის მკოსანი. მაგრამ ის ჩვენთვის საყვარელია, როგორც ერთგული მსახური, საბშობლოს სადარაჯოზე მდგომი ადამიანი, როგორც გამოურკვეველი ხალხში მინელებული ეროვნული შემეცნების და გრძნობის.

ასეთ ადამიანს პატივი სცეს მუშათა კლუბში გამართული საღამოთი. იასე რაჭველზე სიტყვა სთქვა იასე რაჭველივით ხალხის გულის ცემასთან ახლოს მდგომმა იოსებ იმედაშვილმა. მან გასაგებად დამსწრეთათვის დაახასიათა იასე რაჭველი და განსაკუთრებულის ხაზგასმით მისცა გაშუქება იასე რაჭველის მუშაობას ეროვნული იდეოლოგიის, ეროვნული მსახურების დამკვიდრებისათვის. ლექტორმა იასე რაჭველის ლექსებით და პრაქტიკული საქმიანობის დახასიათებით მოგვცა დაახლოვებით სახე სილარიბეში გარდაცვლილი მოღვაწის. შემდეგ განყოფილებაში პოეტებმა ვ. რუხაძემ, მ. ქუჩიშვილმა, ი. გრიშაშვილმა და სხ. წაიკითხეს ლექსები. ბუნებრივის სიმარტივით სასიამო იყო შინატეხელის მოსმენა და გ. გუჩიშვილის მუდმივი ღიღვა. ი. გრიშაშვილის კითხვამ დიდი აღტაცება გამოიწვია. დაიდგა პიესა შ. შოთაძის, ზარდალიშვილის და უ. ჩხეიძის მონაწილეობით. იმღერეს თარხნიშვილებმა. ხალხი საკმაოდ დაესწრო. **მანი**

— —

**მუშათა ცენტრალური კლუბი** ივნისის 19 საზაფხულო შენობაში გადავიდა. ბაღი სრულიად ახლად არის მოწყობილი. მამასახლისთა საბჭოს და კლუბის გამგის ალ. გუგუშვილის მეცადინეობით კლუბი მავნე ელემენტებისაგან გაწმენდილია და შესაფერისად მოწყობილია. იმართება საღამოები, წარმოდგენები, ლექციები (მუშაობს ხუთი სექცია სხვადასხვა ენაზე). კლუბმა მოიწვია სიმებიანი ორკესტრი. აქვე გამართულია კლუბის წევრების ბავშვთა მოედანი, სადაც ბავშვები ყოველ დილა მეცადინეობენ გამოცდილ მასწავლებელ ქალის ქ-ნ რედინის ხელმძღვანელობით. კლუბში აკრძალულია ლოტო და ბანქოს თამაში. კლუბმა შეადგინა დრამატიული წრე ი ზარდალიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც წარმოდგენებს სდგავს მხატვრულად. ხალხი თანაგრძნობით ესწრება. **კენტი**

— —

**სახალხო სახლის** სცენის მოყვარეთა წრის საშუალებათა გასაძლიერებლად მუშათა ცენტრალურ კლუბში კვირას, ივნ: 27, გაიმართა დიდი სეირნობა-საღამო წმინდა შემოსავალი უდრის 75,000 მ. **კ.**

**ს. ერკეთში** (ოზურგ. მაზრა) 1919 წ. დეკემბერში დაარსდა „თეატრის დამაარსებელი წრე“, შემდგარი ათი კაცისაგან. წრის ჰყავს სცენის-მოყვარეთა არა მუდმივი დასი (უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობისაგან შესდგება). წარმოდგენები ჯერ-ჯერობით სკოლის დარბაზში იმართება „თეატრის დამაარსებელი წრის“ სასარგებლოთ, რომელსაც მიზნათ აქვს აავოს თეატრის სახლი. ხალხი ყოველივე ამას სიმპატიით უყურებს. წრეს არავითარი საკუთრება არ აქვს გარდა რამოდენიმე ათასი მანეთისა. ხალხი ეტანება უმთავრესად ქართულ ისტორიულ და მუშათა ცხოვრებიდან აღებულ პიესებს. კომედიებს და ვოდევილებს ხალხი ძალიან უარყოფით უყურებს: სწარმოებს ამ ნიადაგზე მუშაობა, რომ გაფანტულ იქმნას ხალხის ასეთი შეხედულება კომედიებზე; ამ ფუნქციას უმთავრესად ასრულებს რეფერატებისა და ლექციების კითხვა ხელოვნების ისტორიასა და მნიშვნელობაზე. გარდა წარმოდგენების მართვისა წრე ღებულობს აგრეთვე შემოწირულებებს, როგორც ფულით აგრეთვე თეატრისათვის საჭირო ნივთების სახით. ყოველივე ცნობების გაგება და შემოწირულების მიღება შეიძლება შემდეგ ადგილებში: ს. ერკეთში—სტეფანე ივანეს-ძე რამიშვილთან. ქ. ქუთაისში—მიშა მგალობლიშვილთან—ძველი თბილისის ქუჩა ის. გამრეკლიძის სახლში. ქ. თბილისში—სამხედრო სამინისტროს სტამბაში სტუდ. ვალიკო მინდაძესთან.

წრის მინდობილობით **მ. მგალობლიშვილი.**

— —

**ს. შუხუთის** სცენის მოყვარეთა წრემ 20 ივნისს და სახალხო სახლის კომიტეტმა (რომელმაც უფასოთ დაუთმო თეატრი) ბენეფისი გაუმართეს მსახ. ალ. ჯაყელს. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო და აღფრთოვანებით მიეგება საპატივსაცემო ბენეფისს; ვ. ასკურავას და ლ. შალიკაშვილის დახმარებით, ალ. ჯაყელის რეჟისორობით, წარმოდგენილი იქმნა „იმბირელი“ ა. ცაგარლისა. საყურადღებოთ შეასრულა მაზუთიანის როლი ვ ასკურავამ, აგრეთვე ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს ალ. ჯაყელი ციმბირელის როლში. კარგად ასრულებდენ ლ. შალიკაშვილი პეტუას, მარ. ჩხაიძე—მაშოს, ლავ. კვაჭაძე—ნიკოლის, ნ. ჯობაძე—ვაროს. მათ მხარს უჭერდენ გრ. მშვიდობაძე (ქლესოვი), ფ. ორაგველიძე (ნარგიზა) ვ. ნიკოლაიშვილი (ქალია) დ. იმნაიშვილი—(სტეფანე, მხოლოდ კილოს ხან უმაღლებდა და ჩქარობდა). შემდეგ დაიდგა ვოდ. „არც იქით არც აქეთ“ გუნიასი, რომელმაც დიდი მხიარულება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებში, მეტად სამხიარულო იყო ალ. ჯაყელი (ტარასი). დანარჩენნი ვ. ასკურავა (ანტონი), ილ. ორაგველიძე (მსახური), ლად. შალიკაშვილი (ებრაელი) ეხმატკბილებოდენ. საერთოდ წარმოდგენა კარგათ ჩატარდა. დასასრულ ვ. ნო ასკურავამ დაახასიათა ა. ჯაყელის მუშაობა, რომლის ხელმძღვანელობით აქ გაიმართა ოთხი წარმოდგენა. მეხუთე-კი სადღეს. სწავლოდ დაუთმო ხალხმა. აღსანიშნავია ილ. ორაგველიძეს ენერგიული მუშაობაც. ვუსურვებ სცენის მოყვარეთა წრეს უანგარო და მუყაით მუშაობას. **მეთვალყურე**

# ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**მეგრული (ივერული) ენა, შ. ბერიძისა.** შესავალი და მასალები, 212 გვ 100 მან. ჩვენს ახალგაზრდა სწავლულ ეს წიგნი შეუდგენია აკადემიკოს მარრის წინადადებით რუსეთის სამეცნიერო აკადემიის დავალებით. ნაშრომი ფრიად საყურადღებოა, დიდის დაკვირებით შედგენილი და წარმოადგენს 1 წიგნის 1 ნაქვთს. სასურველია შემდეგი წიგნებიც მალე გამოვიდეს. დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე, ვრცელი მიმოხილვის გარდა, წიგნში შესულია მეგრული სახალხო ლექსები და სხ.

**მეორე ქართული კლუბი** საზაფხულო შენობაში გადავიდა. ბაღი ხალვათია, მშვენიერად მოწყობილი, სათეატრო დარბაზი მოზდილია და საკმაო საზოგადოებეს იტევს. სისტემატიურად იმართება საღამო-წარმოდგანები. მოწვეულია ს მებიანი ორკესტრი. კლუბში საშუალო საზოგადოება ბლომად იარება. ეს ეროად ერთი კლუბია; რომელიც ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა მოთხოვნილებას მუდამ დიდის თანაგრძნობით ეპყრობა გულუხვად ეხმარება ხოლმე.

**თბილისის სცენის მოყვარეთა** კავშირის თაოსნებს გასულ კვირის კერძო თათბირი ჰქონდათ გადასწყვიტეს სადღეისოდ მოწვეულ იქნეს საზოგადო კრება.

**ალ. იუჟინ-სუმბათაშვილს** რუსეთიდან ჩამოსულთა სიტყვით ამ ახლო მომავალში მოელიან თბილისში.

**სოხუმის** ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელ მიხწულუკიძეს მოლაპარაკება აქვს ქართველ მხახიობებთან მომავალ სეზონისთვის. განზრახულია სოხუმში 5 პროფესიონალ მსახიობის გაწვევა.

**ფოთის** დრამატ. ხელოვნების მოყვარულთ მომავალ სეზონისთვის რეჟისორად კვლავ ნ. გვარაძე მიიწვიეს და ოთხი პროფ. მსახიობი.

**მოგზაური დასი** დასავლეთ საქართველოს ქალაქებში გაემგზავრა წარმოდგენების გასამართავად. რეპერტუარი: „ოტელო" დასში არიან: ტასო აბაშიძე, ანკარა, მარო მდივანი, აბდუშელი, ფეიქრიშვილი, ალ. იმედაშვილი, ალ, ყალაბეგიშვილი, ზ. ურუშაძე, გ ყიფშიძე-ფრონისპირელი, ს. ქივიძე ვ, ჯიქია, სარაული, რურუა და კ. ჩავუნავა. დასი შეივლის ბათუმშიაც.

**წერილი რედაქციის მიმართ.** გთხოვთ მოქალაქე რედაქტორო! ადგილი დაუთმოთ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება-ს" 10 წ. არსებობის აღსანიშნავად საგანგებოდ არჩეული კომისია ულრმეს მადლობას უცხადებს შემდეგ პირთ, რომელთაც უსასყიდლოდ მიიღეს მონაწილეობა სადღესასწაულო წარმოდგენა-საღამოებში; პროფესორ ავალიანს, გამგე ვარდენ ავალიანს, დრამ. მსახიობთ: ანნა ავალიანს, ნიკ რიჟამაძეს, მოცეკვავე ნინო წერეთელს, საოპერო მომღერლებს ნინო ფავლენიშვილს, დავ. აკოფაშვილს, ან, ჭუმბურიძეს, ქაშაქაშვილს. პიანინოზე დამკვრელ თამარო შავერზაშვილს, პოეტებს ვ. რუხაძეს, ი. გრიშაშვილს ს. ერთაწმინდელს ხ ვარდოშვილს. დ. ჭანჭათელს... საღამოს თახამშრომელთ ქ-ნ ავალიანს, ვანდა წერეთელს, დები კორინთლებს, პარკაძისას, დები თარხნიშვილების გუნდს მეორე საღამოში უსასყიდლოდ მონაწილეობისთვის, მიქელაძეს, მეორე ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭოს ყოველგვარ დახმარების აღმოჩენისთვის, იუზა ზარდალიშვილს და სხ.

**კომისია,**

**მადლობის გამოცხადება,** გულითადს მადლობას ვუძღვნი „თ. და ც" 10 წ. დღესასწაულის გამმართველ კომისიას, განსაკუთრებით პროფ. ს. ავალიანს, ყველა მონაწილეთა და საზოგადოებას რომელთაც განუსაზღვრელი პატივი მცეს. და ვ. ავალიან, ს.წერეთელს და ს. ილორელს, ვ. გიგოშვილს თავდაუზოგველი მუშაობისთვის.

**იოსებ იმედაშვილი**



**გრიგოლ (გრიშა) ივანეს-ძე დოლონაძე**

(1895—1920)

პოდპოლკოვნიკი,—მზვერავი რაზმის უფროსი, პოზიციების დაზვერვის დროს მაისის 11 სოფ. ლალვნარაში (ქობულეთში) მოკლული.


გ ა მ ო ვ ი დ ა

## ᲜᲝᲔ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ

თხზულებათა პირველი ტომი.

**თბილისის ხელის მომწერლებმა** უნდა მიიღონ გამომცემლობის კანტორაში რუსთაველის პრ. № 26. ვისაც შემოტანილი აქვს ბე ყველა თხუთმეტი ტომის 450 მან. თითო ეკზემპლიარზედ, იმათ უნდა წარმოადგინონ ნაღდათ 70 მან.

სხვა ხელის მომწერთა მიერ შემოტანილი ბე დარჩება გამოცემის დასრულებამდის და ამ ჟამად ნაღდათ უნდა შემოიტანონ წიგნის **მთელი ღირებულება 100 მ.**

**პროვინციის ხელის მომწერლებს** ამავე წესით გაეგზავნებათ წიგნი ფასდადებით ფოსტით.

**ქუთაისში კი ხელის მომწერლები** მიიღებენ წიგნს გამომცემლობის სააგენტოში ისიდორე კვიცარიძესთან.

ხელის მოწერა გაგრძელდება 15 ივლისამდის.

(5—3)

## ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡᲐ

აცხადებს, რომ იგი შეუდგა წიგნების გამომცებლობას და აწარმოებს ამ საქმეს ფართო მასშტაბით.

**უ კ ვ ე  გ ა მ ო ვ ი დ ა  გ ა ს ა ს ყ ი დ ა თ:**

1) Красная книга (რუს. ენ.) ყარიბისა.
2) ნოე ჟორდანიას თხუზულებათა I ტომი.

**იბეჭდება და მალე გამოვა:**

1) ახალი დროის ისტორია პროფ. ს. ავალიანისა.
2) ბუნების სარკე I ნაწ. ივ. ელიაშვილისა.
3) მსოფლიო ისტორია I, II და III ნაწილი სახალხო სკოლებისათვის ალ. წერეთლისა.
4) ბოტანიკა სეით იაშვილისა.
5) ევროპა (გეოგრაფია) მისივე.
6) ქართული ლიტერატურა მე 18 და მე 19 საუკუნეში 16 წიგნათ გ. ჯავახიშვილისა.
7) თხზულებანი შიო არაგვისპირელისა 5 წიგნათ.

წიგნების საწყობი მოთავსებულია ამხანაგობის კანტორასთან (რუსთაველის პროსპექტი № 26), საიდანაც შეიძლება გამოცემათა დაკვეთა და მიღება.

**გამომცემლობას აქვს საკუთარი სტამბა და საკაზმავი,** სადაც სრულდება ყოველგვარი საქმე **ჩქარა, სუფთად და ხელმისაწდომათ.** (10—2).



რედაქტორი **იოსებ იმედაშვილი** გამომცემელი **ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა**

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა, რუსთაველის პრ., № 26.